ᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 201 (19642) ◆ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲡᲕᲘᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „1986/87 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის რკინიგზის ტრანსპორტის, საბინაო ფონდის, საინჟინრო ქსელებისა და კომუნიკაციების მოსამზადებლად რსფსრ გზათა სამინისტროსა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მუშაობის“ საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რსფსრ გზათა სამინისტრო და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო ემზადებიან 1986-87 წლის შემოდგომა-ზამთრის პირობებში მუშაობისათვის. რკინიგზები უზრუნველყოფენ სათბობის გადაზიდვას დავალებით გათვალისწინებული მოცულობებით, უზრუნველყოფენ მოძრავი შემადგენლობისა და სალოკომოტივო მეურნეობის სათანადო ტექნიკურ მდგომარეობას. რუსეთის ფედერაციის ქალაქებსა და სოფლებში გადიდებულია გასათბობი საქვაბეების, გათბობისა და გაზის ქსელების წყალსადენი და საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობის მოცულობანი. ხორციელდება ბინების, კომუნალური დანიშნულების ობიექტების რემონტი.

ამავე დროს ამ სამინისტროების კოლეგიებს დღემდე არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები შეცდომებიდან და ხარვეზებიდან, რომლებიც დაუშვეს წინა ზამთრობათა დროს.

რკინიგზის ტრანსპორტის ზოგიერთ საწარმოში ამ პასუხსაგები სეზონისათვის მზადება არადამაკმაყოფილებად მიმდინარეობს. მდგარეა თბომავლების რემონტის ხარისხი სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზაზე, დიდია გაუმართავი სატვირთო ვაგონების რაოდენობა აზერბაიჯანის რკინიგზაზე. ნელა მიმდინარეობს თოვლის შესაგებელი ფარების დამზადება ყაზირის რკინიგზაზე, იშლება თოვლსასლები ტექნიკის მომზადების გრაფიკი კემეროვოს რკინიგზაზე, მიმდინარე წლის შვიდი თვის მანძილზე სათბობის გადაზიდვის გეგმის საერთო შესრულების პირობებში ქვანახშირის მარაგი დონეცკის, კუზნეცკის, ყარაღანდისა და კანსკ-აჩინსკის აუზებში მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილ ნორმატივებს: დროულად არ გააქვთ ხე-ტყე საწარმოებიდან, რომლებსაც ემსახურებიან ჩრდილოეთის, გორკისა და ოქტიაბრსკის რკინიგზები. სამრეწველო საწარმოთა ბევრ მისასვლელ გზაზე დაგვიანებით ხორციელდება ზამთრისწინა სამუშაოები.

რუსეთის რსფსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, მისმა სამმართველოებმა და ორგანიზაციებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ყველგან დროულად ვერ უზრუნველყვეს ზამთრისათვის ქალაქებისა და მუშათა დაბების გეგმაზომიერი ჩრდილოეთისა და დასავლეთ ციდი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, შეიქმნას სათბობის საჭირო მარაგი. ამ საქმეში დაუშვებელია თვითდამშვიდება, თავდაჯერებულობა და დიდი თუ მცირე საკითხებისადმი აგდებული დამოკიდებულება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა რსფსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, მის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ სამმართველოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელონ ზამთრისათვის მზადებაში არსებული დიდი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ ზამთრის პერიოდში კომუნალური მეურნეობის ყველა სამსახურის საიმედო, გარანტირებული მუშაობა. ყურადღება მიეპყრო ენერგეტიკული, გაზის, წყალსადენი და საკანალიზაციო მეურნეობების, საქალაქო ელექტრული ტრანსპორტის მომზადების უსწრაფეს დამთავრებას, საწარმოებისა და მოსახლეობისათვის სათბობის მიწოდებას.

რეკომენდებულია მუშაობა მოეწყოს ორ-სამ ცვლად, ფართოდ გამოიყენონ შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, გაძლიერონ ბრძოლა მოცდენისა და საშუშაო დროის დანაკარგების წინააღმდეგ. მუდმივი კონტროლი დაუწესონ ზამთრისწინა პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებას ყველა ობიექტზე, მათი უწყვეტივი კუთვნილების მიუხედავად. გამოიყენონ ამ მიზნით დეპუტატთა კომისიები და ჯგუფები, სახალხო კომიტეტები და საზოგადოებრიობა. უფრო აქტიურად ჩაებან მოსახლეობა ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობაში, საცხოვრებელი სახლების დათბუნებაში. ფართოდ დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ ინიციატივა სათბობის, წყლის, სითბოური და ელექტრული ენერგიის მოჭიმვრე ხარჯვისათვის.

სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც სარგებლობენ რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურებით და აქვთ საკუთარი საცხოვრებელი ფონდი და კომუნალური მეურნეობა, წინადადება მიეცათ განახორციელონ მტკიცე ღონისძიებანი მისასვლელი გზების, დასატვირთ-გადმოსატვირთი საშუალებების რემონტის უთუოდ უზრუნველყოფის, შეყინული ტვირთის გალობის, ვაგონსაყირავების პუნქტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარების, სასაწყობო ფართობებისა და ვაგონების დამუშავების ფრონტების გაფართოებისათვის. განიხილონ თუ როგორ სრულდება ზამთრის პირობებში მუშაობისათვის საცხოვრებელი სახლების, საყვაბეების, გათბობის სისტემებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მომზადება და აღმოფხვრან დაშვებული ჩამორჩენა.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების სამინისტრომ და სამშენებლო საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ ჩაშალეს ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებების, მანქანებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობების საჭიროებებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის შემუშავებისა და წარმოების ვადები და დაავალა სამინისტროების ხელმძღვანელებს აღმოფხვრან დაშვებული ნაკლოვანებანი. უზრუნველყონ დადგენილი მოცულობით ამ ტექნიკის მიწოდება.

რსფსრ გზათა სამინისტროსა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს პარტიულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გაზაფხულ აპარატის კომუნისტი მუშაკების პასუხისმგებლობა ზამთრისათვის საქვეყნეობი მეურნეობების მომზადების საორგანიზაციო ღონისძიებათა განხორციელებისათვის, მიაღწიონ, რომ გაძლიერდეს მათი გავლენა ზამთრის რთულ პირობებში ამ დარგების ყველა საწარმოს საქმიანობის გაუმჯობესებაზე.

რკინიგზის ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ დაუწესონ კონტროლი, იმ მუშაკებისათვის ნორმალური პირობების შექმნას, რომლებიც შრომობენ ზამთარში ღია ცის ქვეშ, უზრუნველყონ ისინი თბილი სპეცტანსაცმლით, ცხელი კერძებით, გასათბობი პუნქტებით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ ამაღლონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე, რათა დროულად და ხარისხიანად მოამზადონ მომავალი შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოები, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები. გაზარდონ სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მშრომელების თხოვნათა დროული განხილვისა და დაკმაყოფილებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ზამთრის პერიოდში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებასთან, უმწვავესი შეფასება მისცენ გულგრილობის ფაქტებს, საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული დახმარება გასწიონ ქალაქის მაგისტრალებზე, სადგურის ლიანდაგებსა და სატვირთო მოედნებზე ნამქერის ლიკვიდაციისათვის ადამიანებისა და ტექნიკის გამოყოფაში. ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ სისტემატურად აუწყებდნენ მომავალი ზამთრისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მომზადების მიმდინარეობას. პრინციპულად ავლენდნენ ნაკლოვანებებს, მწვავედ რეაგირებდნენ ამ მნიშვნელოვან საქმეში ფორმალიზმის, უპასუხისმგებლობის გამოვლინებებზე. ფართო პროპაგანდას უწევდნენ მოწინავე კოლექტივების გამოცდილებას სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების თადარიგიანი გამოყენების საქმეში.

მეჩაიმეგზო, გეგმის შესრულება აუცილებელია!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲩᲐᲘᲘᲡ ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებამდე ორი თვეღა დარჩა. ეს დრო შაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფო გეგმის უთუო შესრულებისათვის. მით უმეტეს, რომ ახლა სუბტროპიკული ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ფოთოლი საკრეფად უნვად არის შემოსული, მაგრამ ახლანდელი ტემპი არ არის საკმარისი ჩამორჩენის დასაძლეველად. არადა, ჩამორჩენა საკმაოდ დიდია. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული მონაცემებით, პირველი სექტემბრისათვის რესპუბლიკაში სეზონის დაწყებიდან სულ დამზადებულია 351.276 ტონა ხარისხოვანი ნედლეული, შარშანდელ ამ პერიოდთან შედარებით 88.818 ტონით ნაკლები.

მახარაძის რაიონში, სადაც მზადდება რესპუბლიკაში წარმოებული ჩაის ნედლეულის დაახლოებით მეხუთედი (გეგმით 102.400 ტონა), აგვისტოს ბოლო რიცხვებში კრეფის ტემპი საგრძნობლად გაძლიერდა. მაგალითად, 30 აგვისტოს მოიკრიფა და გადასამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 1.123 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 31 აგვისტოს — 1.125 ტონა. მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი ჩამორჩენის დასაძლევად. შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 26.535 ტონით ნაკლები ჩაის ფოთოლი. მახარაძელ მეჩაიეებს სიძნელეების დაძლევის მდიდარი გამოცდილება აქვთ და წლეულსაც ყველაფერი უნდა იღონონ საგეგმო დავალების შესრულებისათვის.

ზუგდიდის რაიონმა წლეულს გეგმით 74.900 ტონა ნედლეული უნდა დაამზადოს. პირველი სექტემბრისათვის მოკრეფილია 46.443 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩამორჩენამ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.326 ტონა შეადგინა. 30 აგვისტოს რაიონში დამზადდა 567 ტონა ნედლეული, 31 აგვისტოს — 586 ტონა, რაც საკმარისი არ არის ჩამორჩენის დასაძლევად. რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი უნდა გაძლიერდეს.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ქობულეთის რაიონში, რომელმაც წლეულს გეგმით 47.200 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს. მოკრეფილია კი 24.949 ტონა, წლიური გეგმის მხოლოდ 52.8 პროცენტი. ეს ფიგურა ფოთოლთან შეადარებით 14.302 ტონით ნაკლებია. ქობულეთელ მეჩაიეებს მარფებთ მეტი მონდომება ბუთწულდის პირველი წლის დავალების უთუო შესრულებისათვის.

ფაქტიურად ასეთივე მდგომარეობაა ლაზეთის რაიონში. მოკრეფილია 4.556 ტონით ნაკლები, ვიდრე [illegible] 4.429, ჩაქვალოში — 3.754, ჩოხატაურში — 3.268, გეგეკორში — 2.795, გალში — 2.702, ცხაკაიაში — 2.657, ხობში — 2.520, წალენჯიხაში — 2.117, ქ. წყალტუბოს ზონაში — 1.865, ხელვაჩაურში — 1. 841, ქ. ტყიბულის ზონაში — 1.744, წულუკიძეში — 1. 213, გუდაუთაში — 1.138, გულრიფშში — 1.010, სამტრედიაში — 388, აბაშაში — 351, სოხუმში — 281, ქ. ჭიათურის ზონაში — 176, თერჯოლაში — 137 და ქედაში — 70 ტონით ნაკლები.

სექტემბერი ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყეტი თვეა. დრო ძვირად ფასობს. საჭიროა დაძაბულად, სრული უკუგებით ვიმუშაოთ. ახლა მთავარია მაქსიმალურად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები, განვამტკიცოთ საშემსრულებლო დისციპლინა. საჭიროა აგრეთვე გაცილებით მეტი ეფექტიანობით გამოვიყენოთ ჩაის საკრეფი მექანიზმები. არადა, ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის დავალება რესპუბლიკაში 31 აგვისტოსათვის მხოლოდ 30, 9 პროცენტით იყო რეალიზებული.

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ სექტემბერი ცოდნის დღესასწაულია. ფრთოსანი სიტყვით „მშვიდობა“ გვაუწყა მან სასწავლო წლის დაწყება. და ეს შემთხვევითი არ არის. მშვიდობა საბჭოთა ხალხს, და მაშასადამე, ახალგაზრდობის მთავარი საზრუნავია. სწორედ საბჭოთა მოსწავლეებს მიმართა გერმანიაში ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პერეს დე კუელარმა წერილით, რომელშიც მსოფლიოს ყველა ქვეყანას მოუწოდა მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს და მთაც მოაწყონ მშვიდობის გაკვეთილები.

1986 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის წლად გამოაცხადა. სწორედ ამ დღეებში ჩვენმა ქვეყანამ გაკვეთა განცხადება ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმის წლის დამლევამდე განგრძობის თაობაზე. მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ საბჭოთა სახელმწიფო პლანეტაზე მშვიდობის თანამიმდევარი ქომაგია.

ყველა სასწავლებელში ახალი სასწავლო წელი დაიწყო მშვიდობის გაკვეთილით. მოსწავლეებმა დაწერეს თხზულებები თემებზე: „რატომ მიმაჩნია საჭიროდ მშვიდობისათვის ბრძოლა?“, „რას ვეტყოდი ამერიკელ თანატოლებს, მათ რომ შევხვედროდი“, „ყარაყატი — სახურავზე, მშვიდობის დედამიწაზე“, „მშვიდობის წლიდან მშვიდობის საუკუნისაკენ“. გაიმართა მიტინგები, შეხვედრები წარჩინებულ ადამიანებთან.

ღირსშესანიშნავ დღეს — ცოდნის დღეს მოსწავლე ახალგაზრდობას სტუმრად ეწვივნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, გ. ნ. ენუქიძე, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია.

ტრადიციისამებრ სასწავლო წლის დღესასწაულია ახალმოსახლეობათა დღე. ხალისიანად აღნიშნეს იგი მუხიანის მესამე მიკრორაიონშიც. აქ მწყობრში ჩადგა ახალი №184 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. საუკეთესო ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები, საწარმოო სახელოსნოები დაზდა აქ 1256 მოსწავლეს. მშენებლებმა სპორტული კომპლექსისათვისაც იზრუნეს. ბავშვებს ელის საცურაო აუზი, ფეხბურთის, კალათბურთის მოედნები... აქვე, გვერდით არის თბილისის № 175 საშუალო სკოლა. საბრძოლო დიდების გალერეა, რომელიც ამ სკოლის მოსწავლეებმა შექმნეს, ხელს უწყობს ყმაწვილებისათვის პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობის გამომუშავებას. საუცხოო სპორტსმენებს აღგვიზრდიან ოლიმპიური რეზერვის სკოლა და მძლეოსნური მანეკი, რომლებიც აკაკი წერეთლის პროსპექტზეა განლაგებული.

თბილისის №1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის ზრუნვა სახელმწიფომ იკისრა. აქ ბავშვებს სწავლისა და დასვენების სასიკეთო პირობები აქვთ შექმნილი.

სკოლის რეფორმა ხორციელდება ქვეყანაში. ყველგან იგრძნობა მისი ნიშნები. სკოლებში გაჩნდა ახალი საგნები — „ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“, „ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია“. მიმდინარე წლიდან იწყება გადასვლა საყოველთაო კომპიუტერულ წავლებაზე. რესპუბლიკის გამოთვლითი ცენტრები უფროსკლასელთა შეფები გახდნენ.

თავისი კორექტივები შეიტანა რეფორმამ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ცხოვრებაშიც. ახალ ტექნიკას ეუფლებიან მომავალი მუშები. რიცხვეული პროგრამაული მართვის სახარატო და საღარხვი ჩარხები, სხვრეწველო სატელეგიზიო დანადგარები, პერსონალური კომპიუტერები დაეხმარება მოსწავლეებს ახალი პროფესიების ათვისებაში.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ნიჭიერი ახალგაზრდობის ნაკადი პროფტექნიკური განთლების სისტემაში. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ პროფტექნიკურ სასწავლებლებს შორის ფიზიკაში საკავშირო ოლიმპიადის მოწყობის ადგილად აირჩიეს ჩვენი რესპუბლიკა. დღეს საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლები დაახლოებით ოთხასი მუშური პროფესიის ახალგაზრდებს ამზადებენ. დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდებს შორის თბილისის მე-18 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულებმა რამდენიმე წლის წინათ გამოიჩინეს საქართველოს ისტორიული ძეგლების რესტავრაციის ინიციატივა. მომავალი მუშების წამოწყება ფართოდ მოიწონეს რესპუბლიკაში. დღეს სასწავლებელი არა მარტო მშენებლებს, არამედ რესტავრატორებსაც ამზადებს.

დაახლოებით 90 ათასმა ქალაქვილმა და ჭაბუკმა აავსო რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიები. ტრადიციისამებრ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიესალმება თავის პირველკურსელებს. ახალბედების სახელით გამოვდა თოთხმეტი წლის სტუდენტი მიხეილ გელაშვილი.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲐᲬᲙᲠᲘᲐᲚᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲘ



ᲛᲝᲡᲕᲘᲓᲐ სექტემბერი და თან მოიტანა მონატრებულ თანატოლებთან, საყვარელ მასწავლებლებთან და სკოლასთან შეხვედრის სიხარული.

რამდენი რამ ნახეს ამ ზაფხულს ჩვენმა პატარებმა, მოუსვენარმა და ცნობისწადილით აღსავსე ყმაწვილებმა. დაისვენეს, გაკაჟდნენ, გახალისდნენ. მთელი დღეც არ ყოფნით საიმისოდ, რომ ერთმანეთს ზაფხულში ნანახის და განცდილის შთაბეჭდილებები გაუზიარონ.

პირველი სექტემბერი, რაღა თქმა უნდა, ყველასთვის სამახსოვრო დღეა, მაგრამ იმ ნორჩების სახარულს მაინც არაფერი შეედრება, ვინც გუშინ პირველად შედგა ფეხი სკოლაში, პირველად გადაშალა შეუდარებელი „დედაენა“.

ბედნიერი იყოს ყველა მათგანისთვის „ცოდნის ზეიმით“, მშვიდობის გაკვეთილით დაწყებული ეს სასწავლო წელიც!

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ცოდნის ზეიმზე; პირველი გაკვეთილი თბილისის 51-ე საშუალო სკოლის პირველ „ბ“ კლასში; აინთო ცოდნის ჩირაღდანი.

Ლ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“) ᲓᲐ Ⲙ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ (საქინფორმი) ფოტო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში 5 სექტემბერს ეწყობა ერთიანი პოლიტდღე თემაზე:

„რეალიზმის, მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას — საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა შეუპოვარი შრომით, სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებით, დისციპლინის განმტკიცებით, დიდი საზოგადოებრივი აქტიურობით“.

ᲛᲘᲣᲛᲮᲠᲝᲒᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ VIII ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ

რობერტ გაბრიელ მუგაბეს

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ მოგესალმებით თქვენ და მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VIII კონფერენციის ყველა მონაწილეს. თქვენი ფორუმი, რომელზეც შეიკრიბნენ მსოფლიოს სახელმწიფოთა თითქმის ორი მესამედის უმაღლესი წარმომადგენლები, სამართლიანად არის მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის ფოკუსში.

თავისი პირველი კონფერენციის დროიდან — ამ დღეებში კი აღინიშნება მისი 25 წლისთავი — დამოუკიდებლობისა და სრული თანასწორუფლებიანობისათვის ხალხთა ეროვნულ-განმთავისუფლებელი ბრძოლით შობილმა მიუმხრობლობის მოძრაობამ განვლო ძნელი, მაგრამ სახელოვანი გზა, გაძლო და განმტკიცდა მის არაკეთილმსურველთა ყველა ზრკის მიუხედავად. მიუმხრობლობის ნაყოფიერი იდეა, რომელიც შთაგონების წყარო იყო ისეთი გამოჩენილი მოღვაწეებისათვის, როგორიც იყვნენ ჯავაჰარლალ ნერუ, იოსიპ ბროზ ტიტო, გამალ აბდელ ნასერი. აჰმედ სუკარნო, კვამენ ნკრუმა, ახლა მატერიალიზებულია ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ავტორიტეტიან საერთაშორისო მოძრაობად.

ამჟამად მიუმხრობლობის მოძრაობას, რომელიც მტკიცედ იღაშქრებს ომებისა და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ ხელი აიღონ ძალის გამოყენებით საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალი პოლიტიკური აზროვნების ფორმირებაში, ბირთვულ-კოსმოსური ერის რეალიებს რომ შეესაბამება. მიუმხრობლობის მოძრაობის მონაწილე ქვეყნების მისწრაფება — თავიდან აიცილონ კაცობრიობას ბირთვული საფრთხე, აისახება მისი ფორუმების გადაწყვეტილებებში, რომლებზეც თანამიმდევრულად მოითხოვენ სამართლიან და უსაფრთხო მშვიდობას ყველასათვის. მიუმხრობლობის მოძრაობა საერთაშორისო ურთიერთობის შეუცვალელი ფაქტორი გახდა, გადაიქცა თანამედროვეობის გავლენიან პოლიტიკურ ძალად.

საბჭოთა კავშირი იმის წინააღმდეგია, რომ მიუმხრობლობის მოძრაობას განიხილავდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფრონტაციის პრიზმით, და სრული გაგებით ეკიდება მიუმხრობელი ქვეყნების მისწრაფებას არ მონაწილეობდნენ სამხედრო ბლოკებში, ახორციელებდნენ დამოუკიდებლობის პოლიტიკას, თვითონ განსაზღვრავდნენ თავიანთი განვითარების გზებს. საბჭოთა კავშირისათვის ამ სახელმწიფოებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარება მუდამ იყო და იქნება მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება. მიუმხრობლობის მოძრაობა — მის მონაწილეთა მეთვალი მრავალფეროვნების მიუხედავად — მიგვაჩნია მძლავრ ძალად, რომელიც უპირისპირდება ომსა და აგრესიას. იმპერიალიზმს, კოლონიალიზმსა და რასიზმს, ძალად, რომელიც ზრდის მშვიდობის, გონებისა და კეთილი ნების პოტენციალს.

ჩვენ ღირსეულად ვაფასებთ მიუმხრობელ სახელმწიფოთა მზადყოფნას იკისრონ კაცობრიობის ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობის თავიანთი წილი, რათა დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ბირთვული იარაღის გამოცდებს, დაიწყოს ნამდვილი განიარაღება. საბჭოთა კავშირმა, როგორც მოგეხსენებათ, მიიღო გადაწყვეტილება გაგრძელოს 1987 წლის 1 იანვრამდე შარშან 6 აგვისტოს გამოცხადებული ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი. ამ დიდ პრაქტიკულ ნაბიჯს რომ ვდგამდით, რომლის მიზანია ბოლოს და ბოლოს უზრუნველვყოთ რეალური წინსვლა გამალებული ბირთვული შეიარაღების შეჩერების გზაზე, გვწამს, რომ ყველა ქვეყნის ადამიანები, პოლიტიკური წრეები, თქვენი კონფერენციის ყველა მონაწილე სწორად შეაფასებენ სიჩუმეს საბჭოთა ბირთვულ პოლიგონებზე, ხელს შეუწყობენ იმას, რომ საცდელი ბირთვული აფეთქებანი საერთოდ აღარ ხდებოდეს ჩვენს პლანეტაზე. დიდი ხანია დადგა დრო გავარღვიოთ სამხედრო მეტოქეობის, ომებისა და გამაჩანაგებელი რეგიონალური კონფლიქტების ბასკეური წრე, გამოვძებნოთ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ქმედითი საშუალებები და XXI საუკუნე დავიწყოთ მომავლის რწმენით.

ამ კეთილშობილური მიზნების მიღწევა, რომლებსაც საბჭოთა კავშირიც ესწრაფვის, დღეს იმაზეა დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალები საომედო დაბრკოლება აღუმართონ გამალებულ შეიარაღებას და მის გავრცელებას კოსმოსურ სივრცეში, დააცხრონ აგრესიული იმპერიალისტური წრეების მილიტარისტული ამბიციები, გაწმინდონ დედამიწა კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის წყლულისაგან, მიაღწიონ საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული ურთიერთობის ნამდვილ დემოკრატიზაციას.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი კონფერენცია, რომელიც შეეკრიბა ფრონტისპირა რესპუბლიკის ზიმბაბვეს განთავისუფლებულ მიწა-წყალზე, ვაკაცურად რომ ეწინააღმდეგება რასისტთა და იმპერიალისტთა ხრიკებს, იმ პასუხსაგები ამოცანების სიმაღლეზე იქნება, რომლებიც მის წინაშე ისტორიამ დააყენა.

დიდ წარმატებებს გისურვებთ მუშაობაში.

Ⲙ. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ.

ᲛᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ბატონ მაუნო კოივისტოს,

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხელმძღვანელობისა და საბჭოთა კავშირის ხალხის სახელით ღრმა სამძიმარს გიცხადებთ, თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და მეგობარ ფინელ ხალხს ფინეთის გამოჩენილი სახელმწიფო ხელმძღვანელის, ყოფილი პრეზიდენტის ურჰო კალევა კეკონენის გარდაცვალების გამო. ვთხოვთ ჩვენი სახელით გულწრფელად თანაუგრძნოთ განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ეურდნობოდა რა პროგრესული, დემოკრატიული ძალების, ფინელი ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას, უ. კ. კეკონენი გახდა ფინეთის აქტიური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის, საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და ნდობის, ხალხთა მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის კურსის დამფუძნებელი. ახლა დროით შემოწმებული ფინეთის ეს საგარეო-პოლიტიკური გზა დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიო ასპარეზზე.

უ. კ. კეკონენის სახელთან, მის დაუცხრომელ პირად მეცადინეობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობის მუდმივი წინსვლა ყველა დარგში, რაც მკაფიოდ ადასტურებს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ნაყოფიერებასა და პერსპექტიულობას. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ ზრუნვას, რომელსაც უ. კ. კეკონენი მუდამ ავლენდა საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ურთიერთდობის განმტკიცებისათვის, 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით განსაზღვრული გეზის თანამიმდევრული განხორციელებისათვის.

იყო რა ომისშემდგომი დროის ერთ

ცოდნის გზა

(დასასრული)

ჯილდოები გადაეცათ უშანგ გურგენიძეს, თემურ ციციძეს, გია ქანკვეტაძეს, ლევან ჩიტიშვილს, გორა ჩადუნელს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მოძმე უკრაინაში ქართველ სტუდენტთა ნაკრები რაზმის შემადგენლობაში მუშაობისას.

მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებთან, მშობელთა საზოგადოებრიობასთან შეხვედრების დროს რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაწვრილებით გამოიკითხეს მისაღები გამოცდების შედეგები, პირველკურსელ სტუდენტთა კონტინგენტი, მათი სწავლისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

ზეიმით აღინიშნა ახალი სასწავლო წლის პირველი დღე რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

ნოხუში. ძველი აფხაზური სოფლის ფოქვეშის რვაწლიან სკოლას, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაამთავრა, უკვე მასწავლებლად მოეკლინა დღეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლუდმილა ჯიხია. ამ სკოლაში იგი იყო უფროსი პიონერხელმძღვანელი, სტაჟირებას გადიოდა გამოცდილ მასწავლებელთან ელენე კოლონიასთან, რომელთანაც ერთად ახლა მწვანე ეზოში ხვდება თავის აღსაზრდელებს — ექვსწლიანებს. ჭერ იცნობთ ახლა ძველ სკოლას. იგი ხელახლა ააშენეს.

— სკოლის რეფორმამ ბევრი რამ შეგვძინა, — თქვა ოჩამჩირის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგემ, სსრკ კავშირის განათლების წარჩინებული ლია ნელი ფიჩულიამ. — ჩვენში გაუჭობესდა სწავლება შობლიურ აფხაზურ ენაზე, ამაღლდა მასწავლებელთა ცოდნის კვალიფიკაცია, გახმატკიცდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. სოფლებში გუფში, ბესლახუბში, ანიოგბატაში, კინდღაში, ქოჩარაში აშენებულია ახალი სასკოლო შენობები.

გათუმი. ალბათ არ არსებობს ისეთი ახალმოსახლეობა, რომელსაც ასეთი მოუთმენლობით ელოდნენ პატარებიც, უფროსკლასელებიც, მათი მშობლებიც. ეს არის სკოლის ახალმოსახლეობა. 1 სექტემბერს ბათუმში სტუმართმოყვარულად გაიღო № 9 საშუალო სკოლის კარი.

ნათელი ოთხსართულიანი შენობა მდებარეობს ლენინის ქუჩაზე, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით. ბათუმის ეს გარეუბანი ლენინის დასახლება გახდა. ყველაფერი კი დაიწყო აქარის ერთ-ერთი დიდი საწარმოს—ელექტრომექანიკური ქარხნის მშენებლობით. შემდეგ ააგეს საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ააშენეს ავტომატური სატელეფონო სადგური, დანიშნეს სამარშრუტო ავტობუსი, გაიყვანეს ტროლეიბუსის ხაზი, ააშენეს ორი პროფტექნიკური სასწავლებელი, მაგრამ სკოლა არ იყო.

და აი, დიდი ხნის ნანატრი დღეც დადგა. ელექტრომექანიკური ქარხნისა და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშაკთა 1256 ბავშვმა პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად საზეიმოდ აღნიშნეს ცოდნის დღე.

სკოლა აშენდა ერთ წელიწადში. სასწავლო კორპუსის გვერდით სპორტული დარბაზია, სადაც შეიძლება არა მარტო ფიზკულტურის გაკვეთილების, არამედ სხვადასხვა შეჯიბრების მოწყობაც.

1 სექტემბერს სკოლის ახალმოსახლეობა გადაიხადეს სოფლის ბავშვებმაც. პირველად აუწყა ახალი სასწავლო წლის დაწყება ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის, ქედისა და ხულოს რაიონების სოფლების: ცხმორისისა და ოქურაშვილების სკოლებში აწერიალებულმა ზარმა.

ცხინვალი. წლევანდელი სასწავლო წელი სამასსოვრო გახდება ზარეგა ცხოვრებოვასათვის. ჩრდილოეთ ოსეთის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწრაფად გაიარა სტუდ[illegible] ერატორის პედაგ[illegible] ელ[illegible] ... ერმე აღლილობა მიიღო. ახალ სას[illegible] განმავლობაში კი პირველად შევიდა ეს ცხინვალის № 4 ქართული საშუალო სკოლის სასწავლო კლასში.

სამხრეთ ოსეთის ბევრ სკოლას ემატებიან ახალგაზრდა კვალიფიციური პედაგოგები, — თქვა სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ფატიმა ფუხაევამ. საეკსპლოატაციოდ გადაეცა ზნაურის რაიონის ნულის რვაწლიანი სკოლის ახალი შენობა, ცხინვალის რაიონის სოფელ ჭუთის ბავშვთა სახლის კომპლექსი და სოფელ თამარაშენის საბავშვო ბაღი, ლენინგორის სპორტული სკოლა და სხვ. ოქტის მაღალი მთის სოფლებში გაიხსნა დაწყებითი სკოლები. (საქინფორმი).

... რექტორის პრინციპი

სიონდიკურ[illegible]

დირექტორს კარგად ახსოვს ის [illegible] ... ულს, მეგობრებს, ოჯახსა და დღე, როცა კაბინეტში [illegible] ... ტრისტან მესხია და წასვლის შესახებ განცხადება გაუწოდა.

— არაფერი არ გამომდის, — მგზნებარეთ ეუბნებოდა იგი. — თავს არ ვზოგავ, მაინც წუნი გამოდის. ასე ვერ ვიმუშავებ.

— მერე, რას ამირებ? — ჰკითხა დირექტორმა და ცალა მშვიდ კალამაოტში გადაეყვანა სუბარი. ამ ბიჭს კარგად იცნობდა. ამავე კომბინატში მუშაობენ მამამისი, ორი ძმა და და.

— შოფრად წავალ!

„ჩვენში რომ ვთქვათ, ცუდი არ არის, ეს განცხადება რომ დაუწერია, — გაიფიქრა გულში ფაციციამ. — მაშასადამე, საქმისთვის გული შესტკივა, სცხვენია ცუდად მუშაობა". ხმამაღლა კი უთხრა:

— შენა გგონია, შოფრობა უფრო ადვილია? არა, ჩემო კარგო, იოლი მარტო ხალტურაა, ისიც არა ყოველგვარი. ასე რომ, განცხადებაზე ხელს ვერ მოგიწერ. პრინციპულად. ნუ ფიცხობ, სკობს დაკვირდე, მოწინავენი როგორ მუშაობენ.

ტრისტანმა გამოცდილი ოსტატის გიორგი მიქელაიას გვერდით დაიწყო მუშაობა. ერთბაშად არა, მაგრამ საქმე მაინც უკეთ წაუვიდა. სხვებზე უარესად არ მუშაობდა. მერე და მერე შეჯიბრებში პირველობასაც მიაღწია, ოფიციალიზატორული წინადადებანი შეიტანა, რომელთა შედეგად მეჩქნის ხარჯი შემცირდა. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

ამ ოციოდე წლის წინათ სკეპტიკური ღიმილით შესცქეროდნენ ზუგდიდის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში ახალ დირექტორს. მაღალი, მხნე, ელეგანტური კოსტიუმით და მოდური ჰალსტუხით გამოწყობილი, რეზინის ჩექმებით დაბიჯავდა ქარხნის ტერიტორიაზე. რაც შეეხება პიჯაკსა და ჰალსტუხებს, ეს მისი, ფაციციას პრინციპია. აი, რეზინის ჩექმა კი, რას იზამ, აუცილებელია. ჯერჯერობით ტერიტორიის კეთილმოსწყობად არავის ეცალა, დღიდან დაფუძნებისა — 1939 წლიდან კომბინატს უიმედოდ ზარალიანად თვლიდნენ და სახელმწიფო დოტაციას იღებდა.

ახალი დირექტორი საწარმოს გაფართოება - რეკონსტრუქციის კურსს დაადგა. მერე უკვე ქარხნის ეზოში ტალახს დირექტორის ჩექმები კი არა, უზარმაზარი თვითმცლელები და ბულდოზერები ზელავდნენ. იმ რეკონსტრუქციამ კომბინატი ზარალიანთა რიგებიდან გამოიყვანა, ბოლო ოთხი ხუთწლედის მანძილზე კი საწარმომ თითქმის გააოთხკეცა პროდუქცია. წელს ამუშავდება ფაბრიკის მეორე რიგი, რომელიც ერთჯერადი გამოყენების ჩაის საფუთავ წყალგაუმტარ ქაღალდს ეწევა. მისი სიმძლავრე წლიწადში 2.000 ტონა პროდუქცია იქნება. ეს ჩაის მრეწველობის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს და იმისთვისაც ეყოფათ, რომ ქაღალდის პირსახოცები, სუფრები, და ზეწრები გამოუშვან, რომლებზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა.

ვარაუდით მიმდინარე ხუთწლედის ყოველ წელს კომბინატმა 25 მილიონი მანეთი მოგება უნდა მიიღოს. და ხალხმაც იცის, რას მოუტანს ეს ციფრი თვითონ მათ, მათს ოჯახებს, ენგურელმა მექაღალდეებმა დამხმარე მეურნეობა მოაწყვეს, რომელიც ყურძენს, ლიმონს, თაფლს, ბოსტნეულს, ზოგან კი ამაზე ნაკლებსაც.

ჯერ კიდევ დიდია ათ წელზე მეტი ხნის წინათ ათვისებული პროდუქციის ხვედრითი წილი. იგი მზა ნაწარმის საერთო მოცულობის საშუალოდ 30 პროცენტს შეადგენს.

მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის მანქანათმშენებლებმა 1,65-1,67-ჯერ უნდა გაზარდონ სასაქონლო პროდუქციის გამოშვება. ამასთან წარმოების მოცულობის აბსოლუტურმა მატებამ უნდა მიაღწიოს 852 მილიონ მანეთს. ამ მატებაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეტანონ საავტომობილო მრეწველობის, ზელსაწყოთმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებმა.

დასახული მიზნების მიღწევის ძირითადი ფაქტორია წარმოების ინტენსიფიკაციის გაღრმავება, საწარმოო რესურსების უფრო სრული გამოყენება. მაგალითად, დასახულია, რომ შრომის ნაყოფიერება დარგში ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდოს 146,1 პროცენტით. მას, ძირითადად, მივაღწევთ დიდმწარმოებლური მოწყობილობით, მათ შორის, რიცხვეულ პროგრამული მართვის ჩარხებით საწარმოების აღჭურვის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების დანერგვის, რობოტებისა და მანიპულატორების, ისეთი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ფართო გამოყენების გზით, როგორიც არის უნარჩენო ფხვნილთა მეტალურგია, ელექტრომექანიკური, ულტრაბგერითი და ელექტროხულსხივური დამუშავება, ინდუქციური პლაზმური დნობა, აგრეთვე მეცნიერული შრომის ორგანიზაციის ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით. არსებითად გაფართოვდება დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც.

გარდა ამისა დასახულია, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების „ანალიზხელსაწყოს", „ელვას", „ავტომატმრეწვისა" და სხვების მანქანათმშენებლობის საცდელ-საექსპერიმენტო და საკონსტრუქტორო ბაზის მშენებლობა და გაფართოება.

მანქანათმშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასთან ერთად გათვალისწინებულია ვრცელი სოციალური პროგრამების რეალიზაცია. ბინებისა და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების აგებისათვის გამოიყოფა 150 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდებანი. დასახულია აშენდეს დაახლოებით 90 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მარნეულის სამუშაო ჯორიზონტები

„**დავიწყოთ**... არასტანდარტიზებული მოწყობილობის ქარხნისა და დეტალსაგენერავი ქარხნის მშენებლობა ქალაქ მარნეულში" (სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებიდან).

... სულ ცოტა ხნის წინათ აქ უდაბური ადგილი იყო. ამჟამად [illegible] შეიცვალა. მარნეულის განაპირას მძლავრი სამშენებლო ტექნიკა წშენდს ტერიტორიას მომავალი ქარხნისათვის.

— მშენებარე ობიექტის დირექტორთან ლევან გრიგოლის ძე სიხარულიძესთან ერთად ვდგავართ ზაფხულის შინდვრის კიდეში და იგი ავგიწერს ხვალინდელი დღის პანორამას, როცა აქ აღიმართება თანამედროვე საწარმოები, გვერდით კი გაჩნდება ახალი ქალაქი იმათთვის, ვინც ამ საწარმოებში იშრომებს.

— იმისთვის, რომ მშენებლობის მასშტაბი წარმოიდგინოთ, რამდენიმე მაგალითს მოვიყვან, — თქვა ლ. სიხარულიძემ. საშენებლო ბაზის განვითარებისათვის დაგვჭირდება რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნის აშენება, რომლის სიმძლავრეც აღემატება მარნეულის ახლანდელი სახლთაშენებელი კომბინატისა და რკინაბეტონის ქარხნის საერთო სიმძლავრეს.

ახალი საწარმოს მშენებლობაზე გამოვიყენებთ ლითონკონსტრუქციათა გამსხვილებული აწყობის პროგრესულ მეთოდს. ამისათვის „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" ტრესტში იქმნება ახალი საწარმოო ბაზა.

მარნეული ბოლო წლებში ინტენსიურად ვითარდება, სულ უფრო კეთილშოწყობილი ხდება. მაგრამ მანქანათმშენებელთა ქალაქი მას სრულიად სხვა იერსა და კოლორიტს შესძენს. ჯერჯერობით ახალი დაბა მხოლოდ პროექტებში და მაკეტზე არსებობს. ეს არის საცხოვრებელი მასივი, ორი სკოლა, ოთხი საბავშვო კომბინატი, სტადიონი, ხეხერული .საცურაო აუზი, - სპორტდარბაზი, ჩოგბურთის კორტები, კულტურის სახლი და ორი კინოთეატრი.

მომავალი მიკრორაიონი ისეა დაგეგმილი, რომ მასში შენარჩუნებული იყოს ჯანსაღი მიკროკლიმატი. ავტომობილებს აქ შემოსვლა აეკრძალებათ, ხოლო ვისაც საშური საქმე ექნება, ისარგებლებს ტროლეიბუსით.

მარნეული გადაიქცევა რესპუბლიკის მთავარ სამშენებლო მოედნად. მისი სრულფასებანი ბატონ-პატრონი იქნება საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის კოლექტივი. ობიექტის პირველი ასამოქმედებელი კომპლექსი მზად უნდა იყოს 1990 წლისათვის.

... მალხაზ დალაქიშვილი ერთი იმათთაგანია, ვინც გადაწყვიტა თავისი ბედი ახალ საწარმოს დაუკავშიროს. ჯერჯერობით კი იგი შრომობს ცეკავშირის ადგილობრივ საეკსპერიმენტო სასურსათო კომბინატში. აქ მალხაზი სათავეში უდგას კომკავშირულ ორგანიზაციას, სამართლიანად ითვლება საუკეთესო ელექტრიკოსად. შაშაან შევიდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

— მარნეულში ახალი სიმძლავრეების მშენებლობის დაწყების ამბავი, — თქვა მ. დალაქიშვილმა, — კომკავშირის საქალაქო კომიტეტში გავიგე. პარტიის საქალაქო კომიტეტის დავალებით კომკავშირულმა აქტივისტებმა ერთგვარი სოციოლოგიური გამოკითხვა, საუბრები მოაწყვეს მარნეულელ ახალგაზრდობასთან. ამ მუშაობაში მოგვიანებით მეც ჩავები. ბევრმა ქალიშვილმა და ბიჭუკამ გადაწყვიტა ინჟინრის სპეციალობა შეიძინოს ახალ საწარმოში მუშაობისათვის. განსაკუთრებით იმათ, ვინც მუშური წრთობა გაიარა.

ახალი მარნეული ახალგაზრდებმა უნდა აშენონ. სწორედ მათ უნდა იმუშაონ ავტომატიკით, კომპიუტერული აპარატურით, რობოტტექნიკით აღჭურვილი თანამედროვე საწარმოების საამქროებში. გადაწყდა, მარნეულის ახალ საშუალო სკოლაში, რომელიც მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ, მოაწყონ რაიონისათვის სასწავლო ჯგენტრი, სადაც მოსწავლეები დაეუფლებიან გამოთვლით ტექნიკასა და ინფორმატიკას.

ძველი დიდება დავუბრუნოთ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მარკას

„**მაღალი** ხარისხის გარეშე დღეს შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება... საჭიროა კარდინალური ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ წუნიანი ნაწარმის, მდარე ხარისხის საქონლის გამოშვებას".

(პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებიდან).

...ეს უცბად არ გადაუწყვეია ბრიგადირს. დიდხანს აწვალებდა ეჭვი: ხომ შეიძლება ვინმეს მოსჩვენებოდა, რომ იგი მოუწოდებს მუშაობის ეფექტიანობის შემცირებისათვის. მაგრამ საწარმოს კომუნისტებმა მხარი დაუჭირეს სოციალისტური შრომის მგრის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ასაწყობ-ჩასაბარებელი კორპუსის გამომცდელ მძღოლთა ბრიგადის ხელმძღვანელის ბორის ვაშაკიძის ინიციატივას.

მისი არსი კი ასეთი იყო: ხარისხის სასარგებლოდ ერთი ბრუნით შეემცირებინათ მთავარი კოვეიერის სიჩქარე. ჯერ არ განეცხადებიყო შთაბეჭდილება იმ მკაცრი კრიტიკისა, რომელიც ქუთაისის ავტომობილშენებლების მიმართ გაისმა საბჭოთა კომუნისტების ფორუმის მაღალი ტრიბუნიდან, ჯერ კიდევ გულსატკენი იყო წარმოების უწესრიგობანი, ძვირადღირებულ წუნს რომ იწვევდა. არც სტატისტიკა იყო დამამშვიდებელი, რომელიც მოწმობდა, რომ შარშანდელთან შედარებით მომხმარებელთა რეკლამაციების რიცხვი თერთმეტი პროცენტით შემცირდა — უხარისხო მუშაობით გამოწვეული ზარალი კი მაინც თითქმის ასი ათას მანეთს აღწევდა.

თავისი აზრი ბ. ვაშაკიძემ შეამოწმა ქარხნის პარტკომის სხდომაზე. გამართული კამათის დროს და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურო პლენუმზე. ასეთ მოსაზრებებს იზიარებდა: მომხმარებლისგან წესის მიღებული პრეტენზიების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა მოდის მთელი რიგი დეტალებისა და კვანძების არადამაკმაყოფილებელ დამაგრებაზე, ამ-ძრავი მექანიზმების რეგულირებაზე, ეს კი მთლიანად არის დამოკიდებული აწყობაზე.

გამომცდელ მძღოლთა წინადადება კოლექტივმა მოიწონა. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ იერიშობანას მანკიერი ტრადიციის აღმოფხვრისათვის ბრძოლას.

ხარისხისათვის ბრძოლაში დიდ იმედებს ამყარებენ საწარმოში სამომქმედოდ შეიქმნებულ ახალ დებულებაზე, რომელმაც უფრო ეფექტიანი გახადა მატერიალური სტიმულირების ბერკეტები. ამჟამად გეგმის წარმატებული შესრულებისათვის მუშა იღებს პრემიას — იგი კი ხელფასის 45 პროცენტს აღწევს, — მხოლოდ იმ პირობით, თუ მის მიერ შესრულებული ოპერაცია ჩინებული ხარისხისა იქნება. შესაბამისად ხორციელდება კონტროლიორ-მიმღებთა წახალისებაც.

საწარმოში ძირეულად გარდაიქმნა კვანძებისა და აგრეგატების კონსტრუქციული და ტექნოლოგიური დახვეწისათვის მუშაობა, — თქვა საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის" ტექნიკურმა დირექტორმა ბაღრი სიხარულიძემ. — ჩვენ ახლა ფართოდ ვეყრდნობით ქარხნის ტექნიკური მომსახურების განყოფილების რეკომენდაციებს, რომელთა მუშაკებიც მხარს უჭერენ ადგილებზე ექსპლოატაციის მუშაკებთან მჭიდრო საქმიან კონტაქტებს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ნოვატორების ძიება, რომელიც მიზნად ისახავს მანქანის საიმედოობის ყოველმხრივ გადიდებას, მისი თვითღირებულების შემცირებას, საგრძნობ შედეგებს იძლევა. მაგალითად, მთავარი კონსტრუქტორის სამმართველოს გახყოფილების უფროსის დურმიშან მიქელაძის წინადადებით მნიშვნელოვნად გაამარტივეს და სრულყვეს ნახევარმისაბმელის კონსტრუქცია, რამაც თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი დააზოგვინა.

დავუბრუნოთ ძველი დიდება ქუთაისის საავტომობილო ქარხანას — ამ აზრით მუშაობს დღეს საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივი რეკონსტრუქციის პირობებში. გარდატეხის მიღწევამ[illegible] ... ...

საქართველოს სსრ
სახალხო
კონტროლის
კომიტეტში

დროის მოთხოვნებს ფეხი ვერ აუწყვეს

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციაში ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან საბრძოლველად მუშაობის, მინერალური წყლების ჩამოსახმელი ქარხნების მიერ პროდუქციის მიწოდებაზე სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანასა და თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში ლითონის ნაგლინის აღრიცხვის, მოვლა-პატრონობის, გამოყენების მდგომარეობის შემოწმების შედეგებზე.

ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებების განსახორციელებლად რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შედეგად ალკოჰოლიანი სასმელების დამზადებისა და გაყიდვის მკვეთრი შემცირების, მათი ვაჭრობის მოწესრიგების, უალკოჰოლო სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის თვალსაჩინო ზრდის მიუხედავად, საზოგადოებრივი კვებისა და საცალო ვაჭრობის საწარმოო დაწესებულებებში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული დარღვევა-ნაკლია.

აქტიური მუშაობა არ მიმდინარეობს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა პროფილის შესაცვლელად. სასადილოებში სპირტიანი სასმელების რეალიზაციის კატეგორიული აკრძალვის მიუხედავად, ზოგიერთმა კოოპერაციულმა ორგანიზაციამ, ისარგებლა ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს მხრივ უკონტროლობით, რაისაბჭოს აღმასკომისაგან მოახერხა ასეთ ობიექტებში ღვინო-არყის ვაჭრობის ნებართვის მიღება.

მარნეულის რაიონის კოოპკავშირის 7 სოფლის სასადილოსა და პავილიონში ყველა მარკის ღვინო-არყით ვაჭრობდნენ: აქ მარტო 1986 წლის პირველ ნახევარში 70 ათასი მანეთის არაყი გაიყიდა; ასევე ვაჭრობდნენ სპირტიანი სასმელებით დმანისის რაიკავშირის სასადილოებში „გულნარასა“ და „რუსში“, პავილიონ „მეგობრობაში“. 1985 წლის ივლისიდან კასპის რაიკოოპერატივის სასაუზმე-პავილიონებში — № 2-ში, „ნიშნისნევში“, „სამთავისში“, „საქადაგიანოში“, „გარიყულაში“, „მეტეხში“ 63,3 ათასი მანეთის არაყი გაიყიდა.

აკრძალვის მიუხედავად, ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობდნენ კასპის რაიკოოპერატივის და მარნეულის რაიკავშირის წვრილაცალო ქსელში, კიოსკებსა და ფარდულებში.

უხეშად ირღვეოდა ლუდის ვაჭრობის წესები დმანისის, წალკის, მარნეულის რაიონების სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში.

ზოგიერთი ალკოჰოლიანი სასმელის ვაჭრობა ზოგან არათუ შემცირდა, გაიზარდა კიდეც თბილისის საქარხნო რაიონის საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კონიაკის ვაჭრობა გაიზარდა 3-ჯერ, ხოლო წალკის რაიკოოპერატივის ობიექტებში 22 პროცენტით. მარნეულის რაიონში, როცა საკონდიტრო ნაწარმის ვაჭრობა 5,6 პროცენტით შემცირდა, არყის ვაჭრობა 1,7 პროცენტით გაიზარდა.

საბურთალოს რაიონის სურსათვაჭრობამ, რომლის ქსელი სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი ხილის წვენებისა და მინერალური წყლების ასორტიმენტით, რესპუბლიკის გარეთ გაყიდა 145 ათას მანეთამდე ღირებულების წვენები, მინერალური წყლები და სხვა პროდუქტები, რის სანაცვლოდაც დონეცკში შეიძინა და შემოიტანა 167 ათასი მანეთის არაყი და შამპანური. მარნეულის რაიკავშირის დაწესებულებებში კი წლევანდელი აპრილის შემდეგ სომხეთიდან შემოიტანეს 32 ათასი მანეთის ლუდი.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ ბევრგან უხეშად ირღვევა ალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობის დადგენილი საათები, ზოგან სათანადო ნებართვის გარეშე ვაჭრობენ, დმანისის რაიკავშირის სარაიე „გულნარაში“ უფიქტურო არაყი იყიდებოდა.

აღნიშნული დარღვევები ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს მხრივ უკონტროლობისა და მომთხოვნელობის შესუსტების შედეგია.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებით ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსს მ. ებრალიძესა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ნ. სვანიშვილს მიეცათ შენიშვნა. სასტიკი საყვედური გამოეცხადათ თბილისის საქარხნო რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრაპეტის დირექტორს ლ. იმნაიშვილს, საბურთალოს რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის დირექტორის მოადგილეს ე. დოლიძეს, მარნეულის რაიკავშირის და კასპის რაიკოოპერატივის თავმჯდომარეებს ა. მამედოვსა და მ. ბარბაქაძეს.

კომიტეტმა თანამდებობიდან გადაიყენა დმანისის რაიკავშირის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექტორი გ. ბარათაშვილი. ცნობად იქნა მიღებული, რომ წალკის რაიკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები თანამდებობიდან განთავისუფლებულნი არიან საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის ბიუროს დადგენილებით.

საბურთალოს რაიონის სურსათვაჭრობის დირექტორის რ. დალაქიშვილის პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ხოლო მარნეულის რაიკავშირის თავმჯდომარის მოადგილის რ. ორუჯჯევის პასუხისმგებლობის საკითხზე საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომი იმსჯელებს.

* * *

როგორც შემოწმებამ ცხადყო, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანასა და თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში ჯერ კიდევ ქმედით ღონისძიებებს არ მიმართავენ ლითონის ნაგლინის რაციონალური და ყაირათიანი ხარჯვისა და აღრიცხვის მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში არა აქვთ სტანდარტიზებულ ნაწარმზე შავი ლითონის ნაგლინზე დაწესებული სპეციალური ნორმები. ეს ნაწარმი კი ქარხნის მთელი პროდუქციის 23 პროცენტს აღემატება. ტონა მზა ნაწარმზე შავი ლითონის ნაგლინის ხვედრითი ნორმები ბოლო წლებში არ შეცვლილა. 1986 წლისთვის კი სრულიად დაუსაბუთებლად ისინი შარშანდელ ფაქტობრივ ხარჯთან შედარებით მეტია, რაც ლითონის ეკონომიის ილუზიას ქმნის.

ნორმების განსაზღვრისას არ ითვალისწინებენ ზუსტ საინჟინრო გაანგარიშებებს, რის შედეგადაც გაზრდილ ნორმებს იყენებენ, ეს კი ძალზე აადვილებს „დაზოგვას“. მაგალითად, თბილისის სამსხმელო მოწყობილობების ქარხანაში ჯერ კიდევ ქმედით ღონისძიებებს არ მიმართავენ ლითონის ნაგლინის რაციონალური და ყაირათიანი ხარჯვისა და აღრიცხვის მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

ამ ქარხნებში გამოვლინდა სახელმწიფო საფინდო დისციპლინის დარღვევის ფაქტები: მაგალითად, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ გარეშე ორგანიზაციებს მისცა 37 ტონაზე მეტი ლითონის ნაგლინი და მილები, აგრეთვე 15 ტონა ლითონის ნარჩენები, ხოლო გარე დაკვეთებზე დახარჯა 110 ტონა ფონდირებული ლითონი.

თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში სათანადო ზომებს არ მიმართავენ ლითონის გამოყენების კოეფიციენტის. გასადიდებლად, რომელიც ცალკეული დეტალების მიხედვით ძალზე მცირეა.

მოჩვენებითი ეკონომიისა და აღურიცხავი პროდუქციის შექმნის ხელსაყრელ პირობებს ქმნის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში მეტალურგიული ქარხნიდან ჩამოუჭრელი ფურცლების მიღება, ჩამონაჭრები კი საერთო წონით 13 პროცენტამდეა და არსად არ აღრიცხება. ამ გზით ქარხანამ შარშან და წლეულს 754 ტონამდე ზედმეტი ლითონი მიიღო.

ამ ქარხანაში საერთოდ მოუგვარებელია ლითონის ნაგლინის შემოსავლის, შენახვისა და ხარჯვის აღრიცხვა. სათანადო ყურადღება არ ექცევა ლითონის ნაგლინისა და მილების მოვლა-პატრონობას სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში.

კომიტეტის დადგენილებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის მთავარ ინჟინერს თ. ზედელაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური; ამ ქარხნის დირექტორს ა. დოლიძეს გამოეცხადა საყვედური და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის წაწილობრივი ანაზღაურებისათვის დაეკისრა ფულის გადახდა, საყვედური გამოეცხადა ქარხნის მთავარ ბუღალტერს ი. შმაკინას. ასეთივე სასჯელი დაედო თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის მთავარ ინჟინერს ვ. ჭელიძეს.

* * *

რესპუბლიკის ზოგიერთი ჩამოსასხმელი ქარხნის შემოწმებამ ცხადყო, რომ მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მინერალური წყლების წარმოებისა და რაციონალური გამოყენებისათვის საკმარისი არ არის გაწეული მუშაობა. იშვიათი რიგია პროდუქციის მიწოდებაზე სახელშეკრულებო ვალდებულებების, საფონდო დისციპლინის დარღვევისა და ამისათვის დიდი ჯარიმების გადახდის შემთხვევები.

განსაკუთრებით სერიოზული დარღვევა-ნაკლოვანებები გამოვლინდა ბოლნისის რაიმრეწკომბინატში, რომელიც სისტემატურად ვერ ასრულებს მინერალური წყლის „ბოლნისის“ ჩამოსხმისა და რეალიზაციის საგეგმო დავალებებს და სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

შარშან ექვს მომხმარებელ ორგანიზაციას დააკლეს 1728 ათასი ბოთლი მინერალური წყალი, წლეულს კი 1203 ათასი ბოთლი, ამავე დროს ზოგიერთ მომხმარებელს ფონდირებულზე მეტი ათასათასობით ბოთლი წყალი მიაწოდეს.

მილსადენებისა და ჩამოსასხმელი ხაზის მოუწესრიგებლობის გამო დიდია მინერალური წყლის დანაკარგები. შემოწმების დროს ნახშირორჟანგის გაზის ნაკლები შემცველობისა და სასაქონლო სეხის დაკარგვის გამო დაიწუნეს ათასი ბოთლი (შემოწმებულის 33 პროცენტი) მინერალური წყალი „ბოლნისი“.

მინერალური წყლების რესურსებისა და საწარმოო სიმძლავრეების უეფექტო გამოყენების, პროდუქციის მიწოდების შესახებ კანონმდებლობისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის, წყლის დანაკარგების, პროდუქციის უხარისხობის მრავალი ფაქტი გამოვლინდა ჩამოსასხმელ ქარხანა „ზვარეში“, ჯავის ჩამოსასხმელ ქარხანაშიც.

პროდუქციის მიწოდებაზე სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტები გამოვლინდა „საირმის“, „ნაბეღლავისა“ და „ვარძიის“ ჩამოსასხმელ ქარხნებში.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილების ბოლნისის რაიმრეწკომბინატისა და „ზვარეს“ ჩამოსასხმელი ქარხნის დირექტორებს ნ. კუპაკაძესა და დ. ლაკაბიძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური და დაეკისრათ ფულადი გადასახადი.

ჯავის ჩამოსასხმელი ქარხნის და „საირმის“ ქარხნის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცათ სახალხო კონტროლის სამხრეთ ოსეთის საოლქო და მაიაკოვსკის რაიონულ კომიტეტებს.

ცნობად იქნა მიღებული, რომ საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომმა მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო ასპინძის რაიმრეწკომბინატის დირექტორს ა. ბუეხრიკიძეს, ხოლო ჩოხატაურის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა . დასაჯა „ნაბეღლავის“ ჩამოსასხმელი ქარხნის დირექტორი ლ. კვაჭანტირაძე.

შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის, რასაც კიდევ ბევრი სხვა დარღვევა-ნაკლოვანება დაემატა, სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა საყვედური გამოუცხადა გორის სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოს უფროსს დ. ფანიაშვილს, სასტიკი საყვედური — ამ სამმართველოს კადრების ინსპექტორს თ. გუნდიშვილსა და მთავარ ბუღალტერს თ. მარღიშვილს, ხოლო თანამდებობიდან გადაიყენა პირველი უბნის უფროსი ჯ. ბარბაქაძე.

რა მოხდა წყალმომარაგების სამმართველოში, რომ ასეთი მკაცრი ზომები განახორციელეს?

შარშან, ივლისში რაიონის სანეპიდსადგურის მუშაკებმა გორის სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოს მარნის ჭაბურღილის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა შემოწმეს და აქტიც შეადგინეს. აი, რა ეწერა მასში: ჭაბურღილის „ტერიტორია შემოკავებული მავთულ-ბადით, შესასვლელი კარი ღიაა, არა აქვს საკეტი, ჭაბურღილის საწნეოდან იქცევა წყალი და ტერიტორია ჭაობდება. შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. სანზონის სანიტარიული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი. კედლები დარღვეულია, ჭერი — ჩამონგრეული, შენობა მოითხოვს სასწრაფო კაპიტალურ შეკეთებას. ელექტრომექანიკოს ნ. ტატიშვილს არ გაუვლია პერიოდული სამედიცინო შემოწმებები“. ეს იყო შარშან 16 ივლისს. შემოწმებას პირველი უბნის უფროსი ჯუმბერ ბარბაქაძეც ესწრებოდა. ცოტა ხნის შემდეგ, 30 აგვისტოს ოთხთა სამმართველოს ლაბორატორებმა შეამოწმეს ჭაბურღილი და კიდევ ერთი დაახლოებით ასეთივე აქტი შეადგინეს.

ყოველი შემოწმება მიზნად ისახავს ადგილზე საქმის გამოსწორებას. რასაკვირველია, ამას ითვალისწინებდა ზემოხსენებული ორი შემოწმებაც, მით უმეტეს, რომ პირველიდან მეორემდე არაფერი გაკეთებულა. სამმართველოს ხელმძღვანელობას რაღაც ხომ უნდა ეღონა, რათა ვიღაცას პასუხისმგებლობა ეგრძნო, სადაურის ავარიული შენობა, კოშკი შეეკეთებინა, შეელეს-შეელაზებინა, მანქანა-დანადგარები წესრიგში მოეყვანა. ბოლოს და ბოლოს, კარზე საკეტი მაინც გაეკეთებინა. ბევრი ეძებეს დამნაშავე და ბოლოს მიაგნეს კიდეც — თურმე ყოველივე ამაში ელექტრომექანიკოსს ნორა ტატიშვილს ედებოდა ბრალი, და სამმართველოს უფროსმა დ. ფანიაშვილმა მისი სსრკ-ფოდ თავიდან მოცილება გადაწყვიტა. თქმა და შესრულება ერთი იყო. 11 სექტემბერს დაიწერა ბრძანება.

სამმართველოს უფროსმა კარგად იცოდა, რომ მუშაკის განთავისუფლებისათვის პროფკავშირული ორგანიზაციის თანხმობა იყო საჭირო და აკი მიმართა კიდეც მას ასეთი დასტურისათვის.

თითქოს ყველაფერი წესრიგშია. მაგრამ ჩვენი ყურადღება ორმა გარემოებამ მაინც მიიპყრო. ჯერ ერთი, ოქმიდან არ ჩანდა, ესწრებოდა თუ არა სხდომას თვით ნ. ტატიშვილი და როგორ იმართლა თავი. და, მეორეც, სამმართველოში არ აღმოჩნდა არც ერთი სახუთი, ჩანაწერი, რომ უდისციპლინობისთვის იგი როდისმე დაესაჯოთ. ის კი აქ 1975 წლიდან მუშაობდა ჯერ ჭაბურღილის მცველად და შემდგომ (მისი მეუღლის ამ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ) ელექტრომექანიკოსად.

არავინ არ უარყოფს, რომ ყველგან და განსაკუთრებით იქ, სადაც მოსახლეობის კვების პროდუქტებით, წყლით მომარაგებას ემსახურებიან, სანიმუშო სანიტარიული წესრიგი უნდა იყოს. ეს სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოს მარნის ჭაბურღილსაც ეხება, და დიდი თუ პატარა დარღვევებისათვის პასუხის მოთხოვნა აუცილებელი იყო. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ელექტრომექანიკოსისათვის? მუშაკისათვის, რომელსაც, სამმართველოს უფროსის დ. ფანიაშვილის განმარტებას თუ დავუჯერებთ, ეკალებოდა ჩაერთო ელექტროგამშვები, ყურადღება მიექცია თავისი სამოქმედო ზონისათვის, არ შეეშვა ტერიტორიაზე შინაური ფრინველები და ცხოველები. ტატიშვილები კი (ჯერ ქმარი და შემდეგ ცოლი) თურმე ჭაბურღილთან საკუთარ ფრინველებსაც უშვებდნენ და ხბოსაც აბალახებდნენ. ეს დანაშაულია და დაისაჯა კიდეც ნ. ტატიშვილი.

მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ სადგურის შენობა ავარიულია, კოშკი შეუღებავი, დანადგარების გაუმართაობის გამო ჭაბურღილის შემოგარენი დაჭაობებულია, ყოველივე ამის გამოსწორება ელექტრომექანიკოსს ევალებოდა, მარტო ის რომ დასაჯეს? გაუგებარია, უბნის უფროსს კი თვით სამმართველოს ხელმძღვანელობას რატომ არ აკისრიათ პასუხისმგებლობა, როცა ნ. ტატიშვილის განთავისუფლებიდან 6 თვის შემდეგაც ჭაბურღილის ტერიტორიაზე იგივე მდგომარეობა იყო და სანეპიდსადგურის მუშაკებმა ახალი აქტი შეადგინეს, მასაც ისევ და ისევ ჯ. ბარბაქაძეც აწერს ხელს. ნ. ტატიშვილისადმი წაყენებული ერთ-ერთი ბრალდება ისიც იყო, რომ არ ჰქონდა გავლილი სამედიცინო შემოწმება. დიახ, დანაშაულია, მაგრამ იმ ფაქტს რაღა ვუყოთ, რომ 1985 წელს 135 მუშაკიდან სავალდებულო სამედიცინო შემოწმება მხოლოდ 15 მუშამა გაიარა. ხოლო წლეულს, პირველ კვარტალში 113 მუშაკიდან არც ერთი არ გაჰკარებია სამედიცინო დაწესებულებას, მაგრამ არავინ დასჯილა. იქნებ, ეს მხოლოდ ნ. ტატიშვილისათვის იყო სავალდებულო, თუ ის მიიჩნიეს განტევების ვაცად?

რადგან შრომითი კანონმდებლობის ძალით მოქმედებდნენ, იქნებ, სამმართველოს მუშაკებმა გვიპასუხონ, გაბა კანონმდებლობის დარღვევა არ არის, რომ სამუშაოდან განთავისუფლებულ ნ. ტატიშვილს 6 თვის შემდეგაც არა ჰქონდა საბოლოო ანგარიში გასწორებული, კუთვნილი ხელფასი მიღებული, შრომის წიგნაკი ჩაბარებული?

განა იმავე კოდექსის 21-ე მუხლის დარღვევა არ არის, რომ პირველი უბნის 55 მუშა-მოსამსახურიდან 13 მუდმივ მუშაკს წარმოდგენილი არა აქვს შრომის წიგნაკი და ცნობები უკანასკნელი სამუშაოთ ადგილიდან? ეს კი არც სამმართველოს უფროსს აწუხებს და არც კადრების ინსპექტორს თ. გუნდიაშვილს.

დიახ, ასეთი ბევრი ნაკლი გამოავლინეს ამ სამმართველოში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაკებმა, როცა ყოველივე ზემოთქმულის შესახებ ნ. ტატიშვილს განცხადებას ამოწმებდნენ.

სწორედ ამ შემოწმების შედეგების განხილვისას გამოიტანა გორის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა ის გადაწყვეტილება, რომლითაც ეს წერილი დავიწყეთ.

ზ. ჯიშკარიანი,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსტრუქტორი.

ბაღის ფეხიზელი თვალი

ბაღის კონტროლით

გვერდი № 218

უშრომელ შემოსავალს — უკომპრომისო ბრძოლა

იმ ამოცანათა შორის, სახალხო კონტროლიორებს რომ გვაკისრია, ერთ-ერთი პირველთაგანია სოციალიზმის წმიდათაწმიდა პრინციპის დაცვა: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“. ამ მოვალეობაზე ერთხელ კიდევ მიგვითითებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

სამწუხაროდ, ასეთ მანკიერებათაგან არც ჩვენი რაიონია დაზღვეული. სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში სისტემატურად ანალიზდება ამგვარი დარღვევების გამო შემოსული სიგნალები, ინფორმაციები. სათანადო ღონისძიებებიც ხორციელდება.

სწორედ საზოგადოებრივი აზრის გაანალიზების საფუძველზე შევისწავლეთ ხილბოსტნეულეაჭრობის სამტრედიის ორგანიზაციის მუშაობის საკითხი და სერიოზული დარღვევების, ფასდამახინჯებისა და სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები გამოვავლინეთ.

პირველი უნიფორმაღის გამყიდველმა გ. სამხარაძემ 3 მომხმარებელს 500 კგ. ხახვში 150 მანეთის ნაცვლად 350 მანეთი გადაახდევინა, კულაშის № 3 მაღაზიის გამგე-გამყიდველმა ვ. ბალავაძემ კილოგრამი 30 კაპიკად ღირებული ხახვი 50 კაპიკად გაყიდა და 9 ტონა ბოსტნეულში მომხმარებლისაგან ზედმეტად აიღო 1739 მანეთი. შემოსული სიგნალის საფუძველზე შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლებთან ერთად მოწმყობილი შემოწმებით № 8 მაღაზიაში (გამგე-გამყიდველი ნ. კოტოიანი) გამოვლინდა სახელმწიფო ქონების დატაცებისა და მომხმარებლის მოტყუების ფაქტები.

1986 წლის 26 იანვარს მაღაზიას ქარელის რაიონიდან მიღებული ჰქონდა 8060 კილოგრამი ვაშლი, აქედან 1000 კილოგრამი უმაღლესი ხარისხისა, რომლის კილოგრამის ფასი მანეთი იყო, ხოლო დანარჩენი 85 კაპიკად უნდა გაყიდულიყო. შემოწმების პერიოდში ნ. კოტოიანს 85 კაპიკად ღირებული 2943 კილოგრამი ვაშლი უკვე თითო მანეთად ჰქონდა გაყიდული, რითაც მან მოითვისა 421 მანეთი და 45 კაპიკი. მატერიალურ ფასეულობათა აღწერით აღმოჩნდა, რომ მას დატაცებული ჰქონდა 3928 მანეთი. ამასთან გამგე-გამყიდველი მასზე რიცხულ მატერიალურ ფასეულობათა დიდ ნაწილს, მათ შორის 2916 კილოგრამ ვაშლს, თავის სახლში ინახავდა, როცა მაღაზიისათვის სპეციალურად გამოყოფილი სათავსოები და სახლის მეუღლის სახელზე გადაფორმება, ასევე მისი ხანდაზმული მამის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლის შენებლობა, რაც არავითარი აუცილებლობითა და საჭიროებით არ იყო გამოწვეული.

ყოველივე ამით გ. ზანდარაშვილმა გაიტეხა სახელი, შეილახა ავტორიტეტი, რითაც დაკარგა სხვების გაკონტროლებისა და სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის მაღალ პოსტზე ყოფნის უფლება.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე და შეუფერებელი მოქმედებისათვის, კერძომფლობელობის ფორმების გამოვლენისათვის გ. ზანდარაშვილი გაათავისუფლა მცხეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

1986 წლის 1 ივლისიდან ბაღანაანის ბაზა-ბაღი შენდება, საქადაგიანოში — საშუალო სკოლის შენობა. ერთს მშენებლობის სამინისტროს მე-9 ტრესტის მე-2 სამმართველო აშენებს, მეორეს — პირველი სამმართველო. სახალხო კონტროლიორებმა ორივე მშენებლობაზე სახელმწიფო ანგარიშგების დამახინჯების, წამატებების და თვალის ახვევის მრავალი ფაქტი აღმოაჩინეს.

კერძოდ, ბაგა-ბაღის მშენებლობაზე სინჟინერონ-სანტექნიკოსი აზომვით სამშენებლო სამუშაოთა ღირებულებაზე 8720 მანეთი და სამონტაჟო სამუშაოებზე 46 ათასი მანეთი წამატება გამოვლინდა. საშუალო სკოლის მშენებლობაზე კი უჩვენეს, თითქოს შესრულებული იყოს 175798 მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ფაქტობრივად ეს თანხა ფასების დამახინჯებით და 37693 მანეთის წამატებით არის მიღებული, რის გამოც 10554 მანეთი ხელფასი უკანონოდ გაუციათ. კასპის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა სათანადო შეფასება მისცა გამოვლენილ ფაქტებს. № 1 და № 2 სამშენებლო სამმართველოების უფროსებს ო. შარაშიძესა და ვ. აბულაძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა, ხოლო № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ვ. სახანდრიშვილი და მეორე სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსი შ. მამუკაშვილი თანამდებობიდან გადააყენა. შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის რაიონის პროკურატურას გადაეცა.

* * *

ჯავა. საწვავ-საპოხი მასალების აღრიცხვასა და ხარჯვაში დიდი დარღვევები გამოვლინდა როკის საბჭოთა მეურნეობაში. სსგზაო ფურცლებში არ ივსება ყველა რეკვინიტი, მათ შორის გარაჟიდან გასვლისა და დაბრუნების დროს სპიდომეტრის ჩვენებანი, თუდამ როდი აღნიშნავენ გადატანილი ტვირთის დასახელებას, თანაც ზშირად ეს ჩანაწერები სინამდვილეს არ შეეფერება, არის საეჭვო საგზაო ფურცლების გაცემის, მეურნეობისათვის გამოუსადეგარი საწვავის მიღების შემთხვევები. მძღოლი ბ. პლიევი მივლინებებით 30 დღეს იმყოფებოდა ყიზლარში, სადაც მას 4222 კილომეტრი გაუვლია, იმავე პერიოდში გაცემულია მეორე საგზური, რომლის ძალითაც იგი როკ-ცხინვალის მარშრუტით თითქოს კომბინირებულ საკვებს ეზიდებოდა. ამ პუნქტებს შორის მანძილი 50 კილომეტრის ნაცვლად 140 კილომეტრად არის ნაჩვენები. დროის იმავე მონაკვეთში იმავე მძღოლისთვის კიდევ ორი საგზაო ფურცელი გაუციათ.

ასეთი შემთხვევები ამ მეურნეობაში იშვიათად როდი ხდება. მართალია, მეურნეობაში არა აქვთ ავტომანქანები, რომლებიც „ა-93“ მარკის ბენზინს ხმარობენ, მაგრამ მაინც შემოიტანეს 640 ლიტრი ასეთი საწვავი. ბუღალტერიაში სათანადო დოკუმენტების უქონლობის გამო ვერ დადგინდა, თუ სად დახარჯეს ის.

ამ და სხვა დარღვევებისათვის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა მეურნეობის უფროს მექანიკოსს გ. დემეგესა და მთავარ ბუღალტერს ი. ტატოევს.

ადგილებიდან
გვატყობინებენ

ნდობა არ გაამართლა

სახალხო კონტროლიორობა დიდი პატივი და სიპატიო მოვალეობაა — ჩაწერილია სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონში და იქვე მითითებულია, რომ სახალხო კონტროლიორმა თავისი საქმიანობით უნდა გაამართლოს ნდობა, იყოს მომთხოვნი და პრინციპული, როცა საქმე ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, უჩვენებდეს ყველას შრომისმოყვარეობის, მაღალი შეგნების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის მაგალითს.

ეს დაკანონებული მოთხოვნები პირველ რიგში ვინ უნდა შეასრულოს, თუ არა სახალხო კონტროლის ამა თუ იმ ორგანოს ხელმძღვანელმა? სხვებთან ერთად ეს მოეთხოვებოდა მცხეთის სახალხო კოტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს გელა ზანდარაშვილს. მაგრამ მან, როგორც ჩანს, დაივიწყა, რომ თავისი ქცევით, ცხოვრების წესით, საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებისადმი დამოკიდებულებით უნდა ეჩვენებინა მაგალითი. ამის ნაცვლად გამოავლინა კერძომფლობელობა, უხეშად დაარღვია მიწათსარგებლობისა და პირადი სარგებლობის სათბურის ზომების დაწესებული ნორმები.

მცხეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა დიმის სასოფლო საბჭოს შესაბამისი საბუთებით, გ. ზანდარაშვილის ოჯახი თითქოს 2500 კვადრატულ მეტრ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს ფლობს, სინამდვილეში კი ნორმაზე 538 კვადრატული მეტრით მეტ მიწას დაპატრონებია.

უფრო მეტიც, პირადი სარგებლობისათვის გამართული სათბურის ფართობი 100 კვადრატულ მეტრს არ უნდა აღემატებოდეს. მაგრამ გ. ზანდარაშვილის ოჯახში ეს არ იკმარეს და 78 კვადრატული მეტრით გადააჭარბეს ნორმას.

გ. ზანდარაშვილის, როგორც სახალხო კონტროლის მუშაკის, სახელს, ავტორიტეტს დიდი ზიანი მიაყენა ისეთმა გაუმართლებელმა მოქმედებამ, როგორიცაა მიწის ნაკვეთისა და სახლის მეუღლის სახელზე გადაფორმება, ასევე მისი ხანდაზმული მამის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლის შენებლობა, რაც არავითარი აუცილებლობითა და საჭიროებით არ იყო გამოწვეული.

ყოველივე ამით გ. ზანდარაშვილმა გაიტეხა სახელი, შეილახა ავტორიტეტი, რითაც დაკარგა სხვების გაკონტროლებისა და სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის მაღალ პოსტზე ყოფნის უფლება.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა ყოველივე ამის შესახებ და შეუფერებელი მოქმედებისათვის, კერძომფლობელობის ფორმების გამოვლენისათვის გ. ზანდარაშვილი გაათავისუფლა მცხეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ კოლექტივის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრებს.

სახალხო კონტროლიორები მოქმედებენ აქტიურად, შემოქმედებითად, ისინი მშრომელებს ხუთწლედის სასტარტო წლის დავალებების ვადამდე შესრულებისათვის რაზმავენ.

სახალხო კონტროლიორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მასალებისადმი ყაირათიან დამოკიდებულებას, ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვას. ამას დიდად უწყობს ხელს დათვალიერებები და რეიდები, რომლებიც სისტემატურად იმართება.

უკანასკნელ ხანს ეს ღონისძიებანი უფრო ეფექტიანი გახდა.

სურათზე: სახალხო კონტროლის ჯგუფის მორიგი რეიდის მონაწილეები — მკერავი მოტორისტები ანა ოდიშელი და მარინე მოსულიშვილი ამოწმებენ ზედა ტრიკოტაჟის ნაწარმის ხარისხს.

ე. რასპოპოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბანცხევების
ვაცი
მზრომელთა
სიგნალების
კვალდაკვალ

პრესტიჟული გამოსვლის შემდეგ ● „კომუნისტს“ უპასუხებს

მკაცრად დაისაჯნენ

საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი

ტყიბულის ზონის სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი და მარეალიზებელი ობიექტების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენი გაზეთის 27 ივლისის ნომრის სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით“ დაბეჭდილი წერილი „ხელმძღვანელი თვალს არიდებს!“. ამის გამო საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ლ. დათიაშვილი** გვატყობინებს:

კრიტიკულ წერილში „ხელმძღვ

უსტოლითში

ფაქტები • მოვლენები

მშვიდობა საერთო საზრუნავია

საზღვარგარეთის გამოხმაურებები საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებზე

პროფკავშირების მსოფლიო ფედერაცია: საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავენ 2000 წლამდე ბირთვულ და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა სრულ ლიკვიდაციას, აღფოთოვანებენ ყველა ქვეყნის მშრომელებს, მშვიდობის მომხრეთა მასობრივ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ნათელი მომავლის იმედს უსახავენ მილიონობით პატიოსან ადამიანს, განაცხადა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ი. ზაკარიამ.**

უზარმაზარი სამხედრო ხარჯების შემცირება დროის მტკიცე მოთხოვნაა. იგი გაისმის მშრომელთა ყველა ჯრებასა და მიტინგზე. აი, რატომ არის, რომ ძირითადი დოკუმენტის პროექტში საერთაშორისო XI მსოფლიო კონგრესი, რომელიც ბერლინში სექტემბერში გაიმართება, ნაზგასმით აღნიშნავს სამხედრო ბიუჯეტების ზრდას ატომურ-ბირთვულ სახელმწიფოებში, რომელთაც ექსპლოატაციის გადედება და განვითარებადი ქვეყნების მშრომელთა გაღატაკება მოჰყვება. საერთაშორისო უშიშროების სისტემის შექმნა, რომლის პროექტიც წამოაყენა საბჭოთა კავშირმა, მოითხოვს, რომ მსოფლიოს ყველა პროფკავშირი დაარაზმოს მისი განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია: საბჭოთა კავშირის მიერ ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივებამ, მოსკოვის სხვა ბევრმა სამშვიდობო ინიციატივამ მნიშვნელოვნად გააქტიურა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთხოვნა, რომ მთლიანად აიკრძალოს ყველა ბირთვული გამოცდა და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი განიარაღების დარგში. ეს განაცხადა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა **მ. ვირეტუომინენმა.** ყველა ბირთვული აფეთქების სრული აკრძალვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დადებისათვის საკმარისი არ არის ცალმხრივი ღონისძიებანი. საჭიროა ყველა ბირთვულმა სახელმწიფომ და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მთელი კაცობრიობისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში.

მეუმეხროგლოგების მოძრაობა: კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებსაც აყენებს მოსკოვი, მთლიანად შეესაბამება მიუმხრობლობის მოძრაობის მიზნებს, წერს ჰარარეში (ზიმბაბვე) გამომავალი გაზეთი **„ჰერალდი“.**

განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციის დღის წესრიგში ეთმობა განიარაღებისა და ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პრობლემებს, მოწმობს, რომ ზიმბაბვეს დედაქალაქში გამართულ ფორუმზე წარმოდგენილი 101 ქვეყნის მთავრობები და ხალხები იზიარებენ სსრ კავშირის აზრს: ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება საერთო საზრუნავია. მშვიდობა შეიძლება დავიცვათ მხოლოდ ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანის მეცადინეობით.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტ ულლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ყუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; ჭიორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

● იორდანია

მოიწონის ქვეყნის განვითარების მეგზა

ამანი. იორდანიის მინისტრთა საბჭომ მოიწონა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლების გეგმა. მისი განხორციელებისათვის ასიგნებულია 3.115 მილიონი იორდანული დინარი. გამოყოფილი სახსრების ნახევარზე მეტი მოხმარდება ირიგაციის განვითარებას, თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნასა და განათლების სისტემის გაფართოებას. გეგმა ითვალისწინებს ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველზე არაბული სახელმწიფოების კავშირურთიერთობის გაააქტიურებას.

საპაერო ბურთით

ატლანტიის ოკეანის გადალახვის ახალი ცდა

ოტავა. სამმა ჰოლანდიელმა, მათ შორის ერთმა ქალმა, ისევ სცადეს საპაერო ბურთით გადაეღახათ ატლანტის ოკეანე. გასულ კვირას ისინი აფრინდნენ კანადის ნიუფაუნდლენდის პროვინციის ქალაქ სენტ-ჯონსიდან და ამერიკან 60 საათზე ნაკლებ დროში მიაღწიონ ჰოლანდიას, გაიარონ 4100 კილომეტრი. ახლა ამინდი ხელს უწყობს მამაც მოგზაურებს და „ჰოლანდიელ ვიკინგად“ წოდებული საპაერო ბურთი 3760 მეტრ სიმაღლეზე მიფრინავს საათში 70 კილომეტრი სიჩქარით. მათი რადიოცნობების თანახმად, ჯერჯერობით ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. შარშან წარუმატებლად დამთავრდა ახლანდელი ეკიპაჟის ორი წევრის ანალოგიური ცდა. გაზის გადინების შედეგად საპაერო ბურთი ოკეანეში ჩავარდა.

● იაპონია

გაქვირდა რკინიგზით მგზავრობა

ტოკიო. 1 სექტემბრიდან 5 პროცენტით გაძვირდა იაპონიის სახელმწიფო რკინიგზით მგზავრობა. თავის გადაწყვეტილებას მთავრობა გზების დიდი ზარალიანობით ხსნის. სინამდვილეში კი ეს ფოლადის მაგისტრალების დენაციონალიზაციისათვის მზადების ერთ-ერთი ღონისძიებაა. სახელმწიფო სექტორის შეკვეცის პროგრამის ფარგლებში ლიბერალ-დემოკრატია მთავრობა აპირებს მომავალი წლის აპრილში ნაწილ-ნაწილ მიჰყიდოს რკინიგზების სახელმწიფო კორპორაცია კერძო მფლობელებს.

● აშშ

ავიაკატასტროფა კალიფორნიაში

სან-ფრანცისკო. როგორც გარაუდობენ, 72 კაცი დაიღუპა დიდი საავიაციო კატასტროფის შედეგად, რომელიც გასულ კვირას მოხდა ლოს-ანჯელესის გარეუბანში. „აერომექსიკოს“ ავიაკომპანიის მეხიკოდან მომავალი დს-9 ავიალაინერი, რომელშიც 58 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი იყო, ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტს რომ მიუახლოვდა, ჰაერში მეჯაჭვი ორადგილიან კერძო თვითმფრინავს. მჯახების შედეგად მოხდა ძლიერი აფეთქება, ცეცხლმოდებულმა ნამსხვრევებმა და აალებულმა საავიაციო საწვავმა დაიზიანა საცხოვრებელი უბნები. პოლიციის მოაცემებით, 16 სახლში გაჩნდა ხანძარი. შემთხვევის ადგილს მოვიდა 35 სახანძრო მანქანა და 20 სასწრაფო დახმარების მანქანა. ამის მიუხედავად ცხრა საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა. დაიღუპა 5 მცხოვრები.

მროვნული დღესასწაული

2 სექტემბერი — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის (1976 წლიდან — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის) გამოცხადების დღე

დიდი შრომითი წარმატებებით და ცხოვრების ყველა სფეროში შთამბეჭდავი მიღწევებით ხვდებიან სოციალისტური ვიეტნამის მშრომელები თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს — ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების 41 წლისთავს.

დღეს ვიეტნამში, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად ითვლებოდა, შექმნილია და წარმატებით ვითარდება მრეწველობის ისეთი თანამედროვე დარგები, როგორიცაა ენერგეტიკა, მეტალურგია და მანქანათმშენებლობა. ჩინებულ შედეგებს აღწევენ სოფლის მშრომელები, რომლებიც ბრინჯისა და სხვა სასურსათო კულტურების უხვ მოსავალს იწევენ.

ყავა ვიეტნამის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომელსაც დიდი საექსპორტო მნიშვნელობა აქვს. ვიეტნამი მას უგზავნის საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს.

ყავის წარმოების გაზრდაში ვიეტნამს დიდად ეხმარებიან საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია და კუბა. ისინი ახალი მიწების ასათვისებელ თანამედროვე ტექნიკასა და ქიმიურ სასუქებს აწვდიან.

სურათზე: ყავის კრეფა ცენტრალურ პლატოზე.

ვია-საცდელის ფოტო.

ბოსკოვი, მესამე ფრუნზეს ქუჩა, მეშვიდე სახლის ჩვეულებრივი სამოთახიანი ბინა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ძველყაიდური ავეჯი და მოწყობილობა. გარეგნულად ყურადღებას როგორ მიიპყრობს უბრალოდ ნაკეთი სპილენძისფერი კარადა, მაგრამ მახვილ თვალს არ გამოეპარება მინის უკანიდან მზრარალი ბროლისა თუ უბრალო თასები, ნაირფერი ჭილდოები, რომელთა უნიკალური წარწერები მთელ სიდუმლეებას გვიმხელს. თითოეული მათგანი არათუ ძვირფასი, ფასდაუდებელია, თითოეული მათგანი გადმოგვცემს ერთი ადამიანის ბიოგრაფიას, ოღონდაც, ესაა ქვეყნისა და ხალხის ისტორიის კუთვნილებაც, მისი დამამშვენებელი სამკაული.

ასევე, ერთი შეხედვით, უბრალოზე უბრალოდ მოგეჩვენებათ შუა ტანის ერთობ მოუსვენარი, მომღიმარი მასპინძელი, რომელიც არასოდეს გაგრძნობინებთ თავის დიდ უპირატესობას. რამდენიმე წამი და ყველაფერი თავის ადგილს პოულობს. ერთ მხარესაა გადაუდებელი საქმისათვის, რჩევისათვის თუ უბრალოდ სათაყვანებელ პიროვნებასთან ორი სიტყვის სათქმელად მოსული ადამიანი, ხოლო მეორე მხარეს წამდაუწუმ სათვალეს ისწორებს ლეგენდარული კაცი, რომელსაც, არც მეტი და არც ნაკლები, მიხეილ ბოტვინიკი ჰქვია.

მას ამ დღეებში სამოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა. ბევრია ეს, თუ ცოტა? საკითხავია, როგორ თვალს შევავლებთ ეამთა სვლას, რა საწყაოთი გავზომავთ მას.

თუ გავითვალისწინებთ, რაც საბჭოთა ჭადრაკის პატრიარქისა და გამოჩენილი მეცნიერის სახელთანაა დაკავშირებული სპორტულ თუ შემოქმედებითს სარბიელზე, უსაზღვროდ და თვალშეუდგამად მოგვეჩვენება არა მარტო განვლილი წლები, არამედ ნაჯაფ-ნაღვაწიც. ყველაფერს, ბუნებრივია, ვერც ჩამოვთვლით: პირველი საბჭოთა დიდოსტატი, პირველი მსოფლიო ჩემპიონი საბჭოთა კავშირიდან, რომელსაც ორი ხანმოკლე შესვენებით მთელი თხუთმეტი წელიწადი ეპყრა საჭადრაკო ტახტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ჭადრაკის მოთამაშე ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის ერთ-ერთი შემქნელი, მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე თარგმნილი ბრწყინვალე გამოკვლევების, თეორიული ნაშრომების, ესსეებისა და მოგონებების ავტორი... ჩვეულებრივ, ყოველივე ამას, ალბათ, რამდენიმე სიცოცხლე არ ეყოფოდა.

და მაინც, ვინც მიხეილ ბოტვინიკს ახლოს იცნობს, მისთვის ერთთავად ნათელია, რომ ამ გულმაგარი და ჯანმაგარი კაცისათვის განვლილი წლები ჯერ კიდევ ცოტაა. მას დიდი მიზნები აქვს დასახული და კიდევ ბევრი წელი სჭირდება მათი მიღწევისათვის. ხოლო ის ჭეშმარიტად ჭაბუკური გატაცება და ენერგია, რომლითაც იგი მიიწევს აღთქმული მიზნისაკენ, ასევე ლეგენდარულია.

სწორედ გამბედაობამ და გამჭრიახობამ, მოქალაქეობრივმა სიმტკიცემ არგუნა მას სრულიად გამორჩეული ადგილი და - ახლა დამსახურებულად იმკის უსაზღვრო თავდადებისა და სიკეთის ნაყოფს.

სრულიად ახალგაზრდა მოგვევლინა იგი ბედთან შეურიგებელი რაინდის როლში, როცა საზღვარგარეთის დიდოსტატებით გაშეშორტყმული ეულად მიუყვებოდა ბილიკს უმაღლესი მწვერვალისაკენ და დიდებულად დალაშქრა კიდეც იგი.

ანდა, რა უნდა იყოს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ მარტოოდენ პიროვნული ტრიუმფით არ იფარგლები, ამარცხებ დროს, ქმნი საკუთარ სკოლას, ხდები მამამთავარი, ფასდაუდებელ ამაგს სდებ სასახელო ტრადიციების განმგრძობ მომავალ თაობათა წყებას. მსოფლიოში ყველაზე მოწინავეა მის მიერ მტკიცედ დამკვიდრებული, მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული, კვლევითი მიმართულების საბჭოთა საჭადრაკო სკოლა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები თანამედროვე საჭადრაკო ოლიმპოს მბრძანებლები არიან.

იგი არასოდეს დგას ჩრდილში, ლაპარაკობს ხმამაღლა და ყველას გასაგონად, მოქმედებს ყველას თვალწინ, როცა საჭიროა სიმართლისა და სამართლიანობის დაცვა. იგი არასოდეს შეურიგდება, რომ, მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონი სუბიექტურ მოსაზრებათა გამო არ შეიყვანონ ოლიმპიურ ნაკრებში, -ნაშრომი დაწეროს ერთმა, ხოლო პრემია მიიღოს სხვამ, ვინმე აღზევდეს უღირსად და დაუმსახურებლად. ამ პირდაპირობამ და გულწრფელობამ მოუპოვა მას უდიდესი ავტორიტეტი, საყოველთაო სიყვარული და აღიარება.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც. მიხეილ ბოტვინიკი, თუმცა ერთობ სიტყვაძუნწია, სიტყვებს არ იშურებს თავისი ღირსეული წინამორბედებისა და კოლეგების ღვაწლის აღსანიშნავად, საკუთარი თავის მიმართ კი ერთობ მკაცრია. ამ გარონაკლის შემთხვევაში მას შეუძლია ჩრდილში დადგეს, წარმოაჩინოს სხვები, შეუქოს მათ ნიჭიერება და ამით დაკმაყოფილდეს.

მაგრამ შინაგანმა თავმდაბლობამ გარეშენი შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ჯერ ერთი, სხვისი აღიარება თავისთავად ყველაზე დიდი ადამიანური ნიჭია, და მეორეც, ჩვენც ხომ უნდა გვქონდეს ობიექტური შეფასების სურვილი და უნარი.

იქნებ ამიტომაც ფრიად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოდან მოსკოვს ამ დღეებში გაგზავნილ ერთ-ერთ მეგობრულ დეკემში ზაზგასმულია მიხეილ ბოტვინიკის ზეგარდმო ღვთიური ნიჭისა და მძლავრ ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შესახებ. დროა, ვისწავლოთ: პატივი უნდა მივაგოთ და საჭიროა ამიტომაც მივაგოთ უფრო მეტი პატივი იმას, ვინც მოკრძალებულად უყურებს თავის უნარსა და დამსახურებას.

ეს საერთო განსჯისათვის, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში ბევრი არცაა სალაპარაკო, ისედაც ძლიერად და შთამბეჭდავად ჟღერს ორი მახლობელი და დიდებული სიტყვა: მიხეილ ბოტვინიკი.

შ. ლარცულიანი.

ყაბახი

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი

ბრძოლა დაიწყო

გუშინ სოფიაში გაიხსნა მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძისა და ელენე ახმილოვსკაიას მატჩი.

მატჩის დებულების თანახმად, გათამაშდება 16 პარტია. მსოფლიო ჩემპიონს თავისი წოდების შესანარჩუნებლად ორთაბრძოლის ყაიმით (8:8) დამთავრებაც აძლევს ხელს, პრეტენდენტმა კი გამარჯვებისათვის აუცილებლად 8,5 ან 9 ქულა უნდა მოაგროვოს.

სოფიაში პირველი 8 პარტია გათამაშდება, კვირაში — სამი: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას გადადებული პარტიების დამთავრების დღეებია! ორშაბათს მეტოქეები ისვენებენ.

მატჩის მთავარ მსაჯს, იუგოსლავ საერთაშორისო ოსტატსა და საერთაშორისო არბიტრს რუდოლფ მარიჩს სოფიაში დაეხმარება საერთაშორისო არბიტრი გიორგი ტოდოროვი (ბულგარეთი), მატჩის მეორე ნახევარში კი, რომელიც 2 ოქტომბერს ბორჯომში დაიწყება, — საერთაშორისო არბიტრი ეკატერინე პეკარსკაია (მოსკოვი).

ჩამოყალიბებულია საკაველაციო კომიტეტი საერთაშორისო არბიტრის გიორგი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით. ამ კომიტეტში სოფიაში შეკრებენ საერთაშორისო არბიტრები ანა სახეკი და ნიკოლოზ იუერრომანსკი (ორივე ბულგარეთი), ხოლო ბორჯომში — საერთაშორისო ოსტატი რომა ბილუნოვა (მოსკოვი) და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი საყვარელიძე.

ასპარეზობენ პრეტენდენტები

გუშინ რიგაში გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი, მოსკოველ დიდოსტატებს არტურ იუსუპოვსა და ანდრია სოკოლოვს შორის. მათ შორის გამარჯვებული გაისად თებერვალში შეხვდება კასპაროვსა და კარპოვს შორის დამარცხებულს. ის, ვინც თებერვალში გაიმარჯვებს, 1987 წლის სექტემბერში მატჩში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს.

იუსუპოვი და სოკოლოვი 14 პარტიას გაითამაშებენ, თუ ამ შეხვედრებმა გამარჯვებული არ გამოავლინეს, მაშინ დაინიშნება ორი დამატებითი პარტია. თუ მათაც არ მოიტანეს შედეგი, მაშინ მეტოქეები კიდევ 4 პარტიაში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს დროის შეზღუდული კონტროლით (აქ სვლების მოსაფიქრებლად მათ მხოლოდ თითო საათი მიეცემათ).

საინტერესოა, რომ იუსუპოვ-სოკოლოვის მატჩზე საერთოდ გათვალისწინებული არ არის დასვენების დღეები. ერთ დღეს ისინი მთლიან პარტიას თამაშობენ, მეორე დღეს კი გადადებულ პარტიას ამთავრებენ.

სატურნირო ორბიტა

შახბურთი. გიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. თბილისის „დინამომ“ უმასპინძლა ბაქოს „ნეფთჩის“ და გიმარჯვა ანგარიშით 2:0, ქუთაისში „ტორპედო“ დამარცხდა ერევნის „არარატთან“ — 2:3. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ზენიტი“ — „ყალგირისი“ — 2:1, მოსკოვის „დინამო“ — „ჩერნომორეცი“ — 2:0, „სპარტაკი“ — „დნეპრი“ — 1:1, „შახტიორი“— „მეტალისტი“ — 2:0, კიევის „დინამო“ — მოსკოვის „ტორპედო“ — 0:0, მინსკის „დინამო“ — „ყაირათი“ — 2:1.

შაბათს მორიგი ტურის შეხვედრები გამართეს პირველი ლიგის გუნდებმაც. ბათუმში „დინამომ“ ფრედ — 1:1 დაამთავრა მატჩი „ატლანტასთან“, „გურიამ“ სტუმრად დაამარცხა „მეტალურგი“ — 2:1.

ვოლეიბოლი. კოლორადოსპრინგსში (აშშ) გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა მხოლოდ ერთი მეასედი წამით აჯობა გდრ-ის ნაკრებს და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. საბჭოთა ვოლოსიპედისტები ამჯერად ბრინჯაოს დასჯერდნენ.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ბოლოდროინდელი ფოტოგრაფიული ნამუშევრებიდან

მეინისქვეშა სამეფო ფარდას ხდის თავის საიდუმლოებას

საინფორმაციო ჯარების მარშლის არჩილ გელოვანის სახელი ეწოდა ახლახან აღმოჩენილ დარბაზს წყალტუბოს გამოქვაბულში.

სამი წლის წინათ მღვიმის გამოკვლევას შეუდგა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგთა ჯგუფი. აქ აღმოჩენილი დარბაზების რიცხვმა ორ ათეულს გადააჭარბა. მათგან ყველაზე დიდი, რომელსაც „მშვიდობა“ ეწოდა, 80 მეტრზეა გადაჭიმული. აქ თვალს ჭრის 5-7 მეტრი სიმაღლის გაქვავებული მრავალფერი ჩანჩქერები. ვარდისფერი სტალაქტიტებთა და სტალაგმიტებითაა გარშემორტყმული დარბაზი „გამარჯვება“.

დარბაზების რელიეფი მას მასობრივი ტურიზმისათვის ხელსაყრელ ადგილად ხდიდა. ეს 1989 წლიდან დაიწყება, ახლა კი მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები და სპეციალისტები სწავლობენ მღვიმეს გეოლოგიურ-სტრუქტურულ პირობებს, მიკროკლიმატს, აეროგაზდინამიკას, აკვირდებიან ფლორის მდგომარეობას, ასრულებენ სხვა სამუშაოებს.

(საქინფორმი).

● ●

სურათზე: სპელეოლოგები თამაზ ქობურაშვილი, ამირან ჯამრიშვილი და ექსპედიციის ხელმძღვანელი ჯუმბერ ჯიშკარიანი.

გ. გერასიმიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გმირი დედის გმირი შვილი

ყველა პატივს სცემს ფალაშა და კამო სიჭინავების ოჯახს ლესიჭინეში და მთელ ჩხოროწყუს რაიონში. ახალგაზრდობაში, როგორც თვითონ ამბობენ, საკმაოდ უჭირდათ, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია ხელი მრავალშვილიანობაზე ეფიქრათ. უფროსი შვილები ამოიყენეს და, როგორც ექნა, ფეხზე დააყენეს ოჯახი. ახლა მნახველის გულს ახარებს ლამაზად ნაგები მათი ოდა-სახლი და კარმიდამო.

რობინი, ნინო, მანანა, მზია, თენგიზ, მთვარისა, მაია, რუსიკო, მზევინარი, ემზარი ამ ოჯახის სიამაყენი არიან, გირდა ემზარისა და მზევინარისა ყველა დოჯახებულია. მზევინარმა წელს დამთავრა სკოლა და მუშური პროფესიის დაუფლებას აპირებს...

ქალბატონ ფალაშას ჯერ კიდევ 1973 წელს მიენიჭა გმირი დედის წოდება.

— თხუთმეტი და-ძმანი ვიყავით, — ამბობს იგი, — უბედურება რომ არა... სიკვდილმა ბავშვობის ასაკში გამოგვაცალა ხელიდან უმცროსი და ნინული... მერმე კი ამ ორი წლის წინათ გვიტყუენა. სხვა მხრივ კი საამაყო ბევრი აქვს დედაჩემს — ნუცა პავლეს ასულ ჯალაღონიას — სამოცდაათამდე შვილიშვილი და თოვმეტის ამდენივე ბადიშვილი უხარებს გულს. უკვე ოთხმოცს მიღწეული ქალია, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაუტეხია წელთა სიმძიმე...

სიჭინავების ოჯახი შრომითი საქმიანობითაც გამოირჩევა, ყოველწლიურად ჩაის უხვ მოსავალს აბარებენ სამშობლოს. სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებიც მოჰყავთ და შეძლებულად ცხოვრობენ.

მგირი დედის გმირი შვილი! — აი ვის უნდა ვეპყრობოდეთ მოწიწებითა და თაყვანისცემით.

დაე, იმრავლონ ასეთმა ოჯახებმა!

ზ. ნაჭყებია.

სექტემბერი შემოდგომის პირველი თვეა. 22 სექტემბერს შემოდგომის ბუნიობაა, რომლის შემდეგ ჩრდილო ნახევარსფეროში თანდათან კლებულობს დღის ხანგრძლივობა და ჰაერის ტემპერატურა. ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა სექტემბერში საქართველოს ტერიტორიაზე აგვისტოსთან შედარებით 3-5 გრადუსით ნაკლებია. იგი ბარში მერყეობს 16-21 გრადუსის ფარგლებში, მთიან რაიონებში — 13-18, მაღალმთიან რაიონებში — 9-დან 13 გრადუსამდე. მაგრამ ცალკეულ წლებში იგი აღნიშნული საშუალო მრავალწლიური მაჩვენებლისაგან მკვეთრად განსხვავდება ხოლმე. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ბარში აღწევს 30-38 გრადუსს, აჭარაში ზოგან 40 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი იკლებს 6-2 გრადუსამდე, ქართლის ბარსა და კახეთში 1-5 გრადუს ყინვამდე.

ამინდი სექტემბერში

დადგა შემოდგომა

ნალექების თვიური რაოდენობა სამხრეთ სანაპირო რაიონებში მერყეობს 240-320 მმ-ის ფარგლებში, ქართლსა და კახეთში უმეტესად 30-დან 70-მდე, საქართველოს დანარჩენ რაიონებში 90-დან 180 მმ-მდე.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, მომდინარე წლის სექტემბერში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა საქართველოს ბარში მოსალოდნელია 17-21, მთიან რაიონებში 14-19, მაღალმთიან რაიონებში 9-12 გრადუსი, რაც საშუალო მრავალწლიურ ნორმას უახლოვდება. თვის პირველი ნახევრის ცალკეულ დღეებში და მესამე დეკადაში მოსალოდნელია ტემპერატურის დაკლება ღამით დასავლეთ საქართველოს ბარში 11-16, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 9-14, მთებში 5-10, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 1-6 გრადუსამდე.

ნალექების თვიური რაოდენობა დასავლეთ საქართველოს ჩრდილო მაღალმთიან და სამხრეთ სანაპირო რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ ნორმაზე ნაკლები, საქართველოს დანარჩენ რაიონებში უმეტესად ნორმასთან ახლოს, კახეთში ნორმაზე მეტი.

ჯ. დოლიძე,

ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის მთავარი ინჟინერი.

მოსკოვი

2 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ავჯანყების ისტორია“. III სერია. 10.50 და 20.00 — მულტფილმები. 11.20— პოლიტიკური თეატრი. ტელესპექტაკლი „მოველ, რათა დგასახელო“. 12.20 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. საბჭოთა ადამიანისათვის. 16.35 — მხატვრული ფილმი „ამბავი საავეშისა“. I სერია. 18.10 — დოკუმენტური ტელეფილმი ხო ში მინის შესახებ. 19.00 — მეცნიერება და ცხოვრება. ნოვატორებისა და კონსერვატორების შესახებ. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.15 — სიუხეზლე ცხოვრების ნორმაა. 20.45 — ახალი ამბები. 20.50 — „ავჯანყების ისტორია“. IV სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სპორტული ტანვარჯიში. 23.25 — დღეს მსოფლიოში. 23.40 — სიმღერები, რომანსი, ვალსი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 21.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.55 — მუსიკა, მ. ი. გლინკა. 11.40 და 12.40 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. IX კლასი. 12.10 — რუსული მეტყველება. 13.10— ტელენარკვევი სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელ ნ. ნ. დუბინინაზე. 13.40 — საბჭოთა მწერლების ზღაპრები. 14.55 — ტელენარკვევი „2 სექტემბერი“. 15.15 — გოეთეს „ფაუსტი“. ტრაგედიის სცენები. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15— „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.00 — რიტმული ტანვარჯიში. 20.30 — მუსიკალური კოისი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — ყველასა და თითოეულისათვის.

ჩვენს ტელეეკრანებზე

22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „კაპიტანი და მისი სასძლო“. 23.50 — ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჩინეთისა და გდრ-ის ნაკრები გუნდები. 0.20 — ახალი ამბები.

თბილისი

2 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.45 — ქართული სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ადამიანი და მთა“. 17.15 — განცხადებები. 17.20 — მულტფილმი „როგორ დაიწერა პირველი წერილი“. 17.40 — მოსწავლეთათვის. „სკოლაში მივდივარ“. (განმეორებით). 18.05 — „საუნჯე“. ვარძია (გადაცემა მესამე). 18.50—რეკლამა. 19.00 — რედაქციაში წერილი მოვიდა. „ექო“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ურისკოდ“. 21.55 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის. „ჩემი სიტყვა მშვიდობაზე“ (განმეორებით). 23.15 — საინფორმაციო გამოშვება. 23.30 — „დედოფლის გვირგვინისათვის“.

მეორე პროგრამა. 16.35 — საბავშვო-ახალგაზრდული ფილმი „შენი და ჩემი მიწა“. 17.25 — განცხადებები. 17.30 — მხატვრული ფილმი „შეიცან თავი შენი“.

კომუნისტი 66434 უე 05786 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზროვის ყოველი დროვის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საბაჭოთა კოლეგიუმი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16